




განათლების ხარისხის
განვითარების
ეროვნული ცენტრი


პროფესიულ კვალიფიკაციათა
განვითარების ხელშეწყობის პროგრამა



მასწავლებლის გზამკვლევი

მოდული – „პირველადი გადაუდებელი
დახმარება“

თბილისი,
2016 წელი



სარჩევი

წინასიტყვაობა	3 გვ
რეცენზენტები	4 გვ
გზამკვლევის შესახებ	5 გვ
სწავლის შედეგი 1 -პირველადი გადაუდებელი დახმარები სსაჭიროების იდენტიფიკაცია 1-3 .კრიტერიუმში-	
სწავლის შედეგი IV.არსებულსიტუაციაშიინფორმაციისმოპოვება/გაცემა	9 გვ
1.1 თეორიული მეცადინეობა	10 გვ
1.2 პრაქტიკული მეცადინეობა	14 გვ
1.3 დამოუკიდებელი სამუშაო	17 გვ
1.4 განმსაზღვრელი შეფასება(გამოკითხვა)	18 გვ
1.5 განმსაზღვრელი შეფასება(პროცესზე დაკვირვება)	23 გვ
სწავლის შედეგი 2— გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის მოშლილობით მიმდინარე მდგომარეობების დროს გადაუდებელი დახმარების გაწევა	25 გვ
2.1 თეორიული მეცადინეობა	28 გვ
2.2 დამოუკიდებელი სამუშაო	29 გვ
2.3 თეორიული მეცადინეობა	30 გვ
2.4 პრაქტიკული მეცადინეობა	35 გვ
2.5 დამოუკიდებელი სამუშაო	38 გვ
2.6 განმსაზღვრელი შეფასება(გამოკითხვა)	39 გვ
2.7 განმსაზღვრელი შეფასება(პროცესზე დაკვირვება)	48 გვ
სწავლის შედეგი 3-ტრავმების, სისხლდენების დროს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა	50 გვ
3.1 თეორიული მეცადინეობა	51 გვ
3.2 პრაქტიკული მეცადინეობა	56 გვ
3.3 დამოუკიდებელი სამუშაო	59 გვ
3.4 თეორიული მეცადინეობა	60 გვ
3.5 პრაქტიკული მეცადინეობა	65 გვ
3.6 დამოუკიდებელი სამუშაო	68 გვ
3.7 გამსაზღვრელი შეფასება(გამოკითხვა)	69 გვ
3.8 განმსაზღვრელი შეფასება(პროცესზე დაკვირვება)	79 გვ
სწავლის შედეგი I, მე-2 კრიტერიუმში-პირველადი დახმარების აღმოჩენის საჭიროებები	81 გვ
4.1 თეორიული მეცადინეობა	81 გვ
4.2 პრაქტიკული მეცადინეობა	93 გვ
4.3 დამოუკიდებელი სამუშაო	94 გვ
4.4 გამსაზღვრელი შეფასება(გამოკითხვა)	95 გვ
თანდართული თვალსაჩინოება	101 გვ
გამოყენებული ლიტერატურა	101 გვ

წინასიტყვაობა

„პირველადი გადაუდებელი დახმარების“ მასწავლებლის გზამკვლევის დამკვეთია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. გზამკვლევი მოიცავს მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შექმნილი „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ მოდულის ყველა სწავლის შედეგს და წარმოადგენს მასწავლებლის დამხმარე რესურსს ამ მოდულის სწავლებისთვის.

გზამკვლევის მიზანია დახმარება გაუწიოს პროფესიულ მასწავლებელს, თეორიული და პრაქტიკული აქტივობების და შეფასების განხორციელებაში.

გზამკვლევი მომზადებულია ჯანდაცვის ხფეროსთან დაკავშირებულ ლიტერატურაზე, ასევე როგორც საჯარო დაკერძოებული წარმომადგენელთა პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

გზამკვლევის ავტორები:

დალი კალაძე– მოდულის და საგანმანათლებლო რესურსის „პირველადი

გადაუდებელი დახმარების ავტორი;

საგანმანათლებლო რესურსების „საექთნო საქმე“ და „მეან-ექთანის“ თანაავტორი.

განათლების ფასულიტატორი;

საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.

ჯილდა ჭეიშვილი– მოდულის და საგანმანათლებლო რესურსის „პირველადი

გადაუდებელი დახმარების თანაავტორი;

ექიმი, პედიატრი, ნეონატოლოგი, საექთნო განათლების თოთ, საექთნო კვლევების თოთ,

ამერიკის გულისასოციაციის ტრენინერი– პირველადი გადაუდებელი დახმარებაში– გულ–

ფილტვის რეანიმაციაში (2012 წ) , ჩესტერის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი)

დოქტორანტი.

რეცენზენტები:

ეკატერინე გიგაშვილი-განათლების მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი ; პროფესიულ კვალიფიკაციათა ხელშეწყობის პროგრამის განათლების ფასილიტატორი; საზოგადოებრივი კოლეჯის „ორიენტირი“ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

შორენა ჯაფარიძე-პროფესიული განათლების ექსპერტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტი;

ქეთევან გარსევანიშვილი- საქართველოს ექთანთა ასოციაციის პრეზიდენტი; პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამების „პრაქტიკოსი ექთნის“ და „ექთნის თანაშემწის“ შემუშავების ჯგუფის წევრი (2014-15 წწ); მოდულის „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ განმახორციელებელი პირი;

გზამკვლევის შესახებ

მასწავლებლის გზამკვლევი თან ერთვის მოდულს - „პირველადი გადაუდებელი დახმარება“, რომელიც შემქნილია პროფესიული განათლების მესამე საფეხურისათვის და მასწავლებელს სთავაზობს რჩევებსა და რეკომენდაციებს ამ მოდულის ეფექტური სწავლებისთვის.

გზამკვლევი ეფუძნება პროფესიული განათლების შესაბამის მეთოდოლოგიურ მიდგომებს და მასში რეკომენდებული სწავლების მეთოდები ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებას.

„პირველადი გადაუდებელი დახმარების“ მოდულს აქვს სწავლის ოთხი შედეგი, რომლის გავლის შემდეგ სტუდენტები შეძლებენ:

1. პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების იდენტიფიკაციას;
2. გულისისხლძარღვთა და სუნთქვის მოშლილობით მიმდინარე მდგომარეობების დროს პირველად გადაუდებელ დახმარების გაწევას;
3. ტრავმების, სისხლდენების დროს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას;
4. არსებულ სიტუაციაში ინფორმაციის მოპოვება/გაცემას;

სწავლის თითოეულ შედეგთან დაკავშირებით მოცემულია სხვადასხვა სიტუაციური ამოცანები, სადემონსტრაციო მასალები (პრეზენტაციები) და პრაქტიკული სავარჯიშოები, ასევე მათი გამოყენების ინსტრუქციები მასწავლებელთათვის.

გზამკვლევი ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგიას, რაც გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში.




სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება მასწავლებელსა და სტუდენტს ანიჭებს განსხვავებულ ფუნქციებს:




- ხელს უწყობს და აღიარებს სტუდენტის ინიციატივას;
- ახალისებს შეკითხვებს სტუდენტის მხრიდან;
- აღიარებს გამოცდილების გადამწყვეტ როლს სწავლაში;
- ხელს უწყობს სტუდენტის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას;
- ითვალისწინებს სტუდენტის გონებრივ მოდელს;
- შეფასების პროცესში ხაზს უსვამს შესრულებას და გაცნობიერებას;

- ხელს უწყობს ერთობლივ სწავლას, რთავს მათ რეალურ სიტუაციებში;
- პირად გამოცდილებებზე დაყრდნობით სტუდენტებს აძლევს ახალი ცოდნის განვითარების და გააზრების საშუალებას.

გზამკვლევეში წარმოდგენილია რეკომენდებული დროითი ჩარჩო, რაც მასწავლებელს სამუშაო სქემის მომზადებაში დაეხმარება. ასევე, გზამკვლევეში გამოყენებულია სიმბოლოები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის მასალის, აქტივობის განსასხვავებლად გამოიყენება. სიმბოლოები გვიჩვენებს, თუ როდის უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა საკონტროლო და განმავითარებელი შეფასების კითხვები, რომელიც მასალის ახსნის, განმტკიცებისა თუ პროფესიული სტუდენტის მიერ მასალის ათვისების ხარისხის დადგენაში დაეხმარება. სიმბოლოები შეგახსენებთ თითოეული სწავლის შედეგისათვის აუცილებელ სასწავლო რესურსს, რომელიც მეცადინეობის დაწყების წინ მომზადებული/მოწესრიგებული/გამართულ მდგომარეობაში უნდა ჰქონდეს მასწავლებელს:

გამოყენებულ სიმბოლოთა განმარტება

	სიმბოლო	განმარტება
		მასწავლებლის მიმოხილვა
	 <p>© Can Stock Photo</p>	რეკომენდაციები
		აქტივობა

		<p>სწავლებისათვის საჭირო რესურსები, მასალები, ინსტრუმენტები</p>
		<p>ლიტერატურა დამხმარე მასალა (handout)</p>
		<p>დამოუკიდებელის ამუშაო</p>

შენიშვნა: წინამდებარე გზამკვლევის სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. მასწავლებელს შეუძლია დაამატოს მასალები, რომლებიც მოდულზე მუშაობის პერიოდში პროფესიულ სტუდენტს დაეხმარება მოდული სმის აღწევი შედეგები სდაძლევაში.

მოდულსთანახლავს შეფასების ინსტრუმენტები თითოეული სწავლის შედეგისათვის, რომლებსაც ასევე **სარეკომენდაციო ხასიათი** აქვს. შესაბამისად, მასწავლებელს შეუძლია სწავლის შედეგების (შესრულების კრიტერიუმების) გათვალისწინებით, თავად შეიმუშაოს შეფასების ადექვატური ინსტრუმენტები.

უნდა აღნიშნოს, რომ დაზარალებული პირისთვის პირველადი დახმარების გაწევის საჭიროებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოდულის **პირველი შედეგის 1 და 3 კრიტერიუმებისა და მეოთხე შედეგის გაერთიანება**, ვინაიდან აღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისი თემატიკა შინაარსობრივად ერთი მთლიანობაა და სასურველია სტუდენტმა (მსმენელმა) თავიდანვე შეისწავლოს. ეს საკითხებია:

- პირველი დახმარების გაწევის დროს სიცოცხლის შენარჩუნების ძირითადი ალგორითმი - DRABC
- ცნობიერების დონის გადამოწმება AVPU ალგორითმის მიხედვით;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების სამოქმედო გეგმის ელემენტები (შემთხვევის ადგილის დათვალიერება/სიტუაციაში გარკვევა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა; პირველი დახმარების გაწევა; დახმარების დროული მოხმობა);
- არსებულ სიტუაციაში ინფორმაციის მოპოვება/გაცემის თავისებურებები;
- დაზარალებულიდან დაზარალებულის გარემოცვიდან ან შემთხვევის ადგილზე მყოფი პირებისგან საჭირო ინფორმაციის მოპოვება.
- ადგილზე გამოძახებული ჯანდაცვის გუნდისთვის საჭირო ინფორმაცია.

ასევე, პირველი შედეგის მე-2 კრიტერიუმი-პირველადი დახმარების აღმოჩენის საჭიროებები, გადატანილია ბოლო მეცადინეობებისთვის. ეს საკითხებია:

- რესპირატორული მოშლილობა, მოხრჩობა (ასფიქსია);
- გულის წასვლა, კოლაფსი, შოკი;
- ტრავმითა და მოტეხილობით გამოწვეული ტრავმული შოკი;
- ანაფილაქსიური შოკი;
- კრუნჩხვითი მდგომარეობანი;
- ელექტროტრავმა, მეხის დაცემა;
- ჰიპერთერმიული სინდრომი - სითბური და მზის დაკვრა, დამწვრობა;
- ჰიპოთერმიული სინდრომი - მოყინვა;
- ინტოქსიკაცია;
- შხამიანი მწერების/ცხოველების ნაკბენები;

ამ სიტუაციების დროს, ხშირად არის საჭირო გულ-ფილტვის რეანიმაცია, გვხვდება ქრილობები, სისხლდენა. აქედან გამომდინარე სასურველია სტუდენტმა(მსმენელმა) ჯერ შეისწავლოს გულ-ფილტვის რეანიმაცია, დახმარება სისხლდენების და ქრილობების დროს და შემდგომ შეისწავლოს ზემოთ აღნიშნული თემები.

გამომდინარე იქიდან, რომ მოდული „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ შესაძლებელია განახორციელოს ნებისმიერი დარგის პროფესიულმა მასწავლებელმა, აუცილებელია თვით მასწავლებელმა გაიაროს ტრენინგი და აითვისოს საჭირო უნარები, განსაკუთრებით მე-2 შედეგის -გულ-ფილტვის რეანიმაციის ჩატარების უნარი.

შშმ და სსსმ პირთათვის მოდულის სწავლების მიდგომები.-შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს,(მაგ. სმენა დაქვეითებულ, სუსტი მხედველობის და ფიზიკური შეზღუდულობის მქონე პირები), შეუძლიათ გულ-ფილტვის რეანიმაციის და სხვა გადაუდებელი დახმარების გარკვეულწილად გაწევა. ამ შემთხვევაში გადაუდებელი დახმარების უნარების სწავლების მეთოდები საჭიროებენ მოდიფიცირებას/აკომოდირებას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე). მასწავლებელი ორიენტირებული უნდა იყოს უნარების იმ ძირითად

კომპონენტის გამომუშავებაზე, რომელიც მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია.

ამისთვის საჭიროა:

- სტუდენტთან ინდივიდუალური სამუშაო დროის (საათების) გაზრდა;
- სტუდენტის ხშირად შესვენება (განტვირთვა);
- სწავლების მეთოდების მისადაგება შშმ-ის და სსსმ შესაძლებლობებთან;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სსსმ(სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე) და შშმ სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

იმ შემთხვევაში ,თუ შშმ პირი ვერ შესძლებს მოდულის უნარების განხორციელებას ინვალიდობის გამო, ეს უნდა ეცნობოს პირს დროულად.

რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტების რაოდენობაზე

იმისათვის რომ პროფესიულმა სტუდენტებმა კარგად აითვისონ თეორიული მასალა , ზუსტად და მკაფიოდ მოხდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავება. საურველია ჯგუფი შედგებოდეს 15 სტუდენტისგან (მსმენელისაგან).

სწავლის შედეგი I-პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების იდენტიფიკაცია

- 1.კრიტერიუმი-აღწერს არსებულ პირველადი დახმარების ლოგორითმებს;**
- 3.კრიტერიუმი-სწორად ჩამოთვლის პირველადი გადაუდებელი დახმარების სამოქმედო გეგმის ელემენტებს;**

სწავლის შედეგი IV. არსებულ სიტუაციაში ინფორმაციის მოპოვება/გაცემა

1 და IV შედეგისთვის გამოყოფილი საათები სასურველია განაწილდეს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებად- 3 საათი თეორიული მეცადინეობისთვის, 3 საათი-პრაქტიკული მეცადინეობისთვის.

1. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების მოკლე შინაარსი:

- ❖ პირველადი გადაუდებელი დახმარების არსი;
- ❖ პირველადი გადაუდებელი დახმარების ანბანი DR ABC
- ❖ AVPU შკალა;
- ❖ პირველადი გადაუდებელი დახმარების პროცესში შემთხვევის ადგილის დათვალიერება/სიტუაციაში გარკვევა.;
- ❖ უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ❖ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა;
- ❖ დახმარების დროული მოხმობა;
- ❖ არსებულ სიტუაციაში ინფორმაციის მოპოვება/გაცემა;
- ❖ ვიდეო მასალა „პირველადი გადაუდებელი დახმარება გადაარჩენს სიცოცხლეს“ (წყარო : <https://www.youtube.com/watch?v=iQwfvMu9VyE>). 1:27 წთ



საათების სავარაუდო განაწილება:

- 1.1. თეორიული -3 სთ;
1. 2. პრაქტიკული -3სთ;
1. 3. დამოუკიდებელი-1 სთ;
- 1.4 შეფასება—————1,5 სთ

1.1 თეორიული მეცადინეობა



აქტივობების დეტალური აღწერა:

სასურველიაშესავალნაწილსდაუთმომთმეცადინეობისპირველი5 –7 წუთი.

შესავალნაწილშიიგულისხმება:

- ❖ საკუთართავისადასწავლებისმეთოდებისწარდგენა-გაცნობა;
- ❖ განმავითარებელიშეფასებისინსტრუმენტისაღწერა;
- ❖ ისეთისტორიებისადამაგალითებისმოყოლა,
რაცსტუდენტებშიგააღვივებსპირველადი გადაუდებელი დახმარების უნარ-ჩვევების
დაუფლებისინტერესს.

შესავალნაწილისშემდეგ, გასაგებიენით, **განმარტეთ**შემდეგისაკითხები:

1. პირველადი გადაუდებელი დახმარების არსი

- პირველადი გადაუდებელი დახმარების არსი;
- დროის მნიშვნელობა პირველადი გადაუდებელიდახმარებისას;
- სწორად ჩატარებულ ქმედებების მნიშვნელობა პირველადი გადაუდებელი დახმარებისას;

- უნარ-ჩვევები, რომელსაც უნდა ფლობდეს პირი(მაშველი), რომელიც პასუხისმგებლობას იღებს პირველად გადაუდებელი დახმარების ჩატარებაზე;
- სთხოვეთ მოსწავლეებს მოიყვანონ მაგალითები, თუ უნახავთ შემთხვევა, როდესაც ადამიანს სჭირდებოდა პირველადი გადაუდებელი დახმარება; დადებითი პასუხის შემთხვევაში, სთხოვეთ აღწერონ იგი.

2. პირველადი გადაუდებელი დახმარების ანბანი DR ABC

- პირველადი გადაუდებელი დახმარების ანბანი;
- ზედა სასუნთქი გზების გამავლობის (A-Airway) უზრუნველყოფის მნიშვნელობა;
- სუნთქვის აღდგენის (B-Breathing) უზრუნველყოფის მნიშვნელობა;
- ცირკულაციის აღდგენის (C-Circulation) უზრუნველყოფის მნიშვნელობა/

3. AVPU შკალა

- პაციენტი მდგომარეობის გარკვევის მეთოდები;
- პაციენტის პასუხი ტკივილზე ;
- ვერბალური პასუხი;

4. პირველადი გადაუდებელი დახმარება– შემთხვევის ადგილის დათვალიერება/სიტუაციაში გარკვევა.

- შემთხვევის ადგილის დათვალიერების მნიშვნელობა;
- დაზარალებულისგან მისაღები აუცილებელი ინფორმაცია და მისი მნიშვნელობა;
- დაზარალებულისგან ინფორმაციის შეგროვებისთვის „ გამოყოფილი დრო“.
- თვითმხილველის როლი დაზარალებულის დახმარებაში;
- კომუნიკაციის როლი მაშველსა და დაზარალებულს (თუ გონზეა) და მაშველსა და თვითმხილველს შორის.

5. უსაფრთხოების უზრუნველყოფა განმარტეთ:

- რას ნიშნავს უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელობა პირველადი გადაუდებელი დახმარების პროცესში;

6. პირველი დახმარების აღმოჩენა განმარტეთ:

- რას ნიშნავს პირველადი დახმარების აღმოჩენა;
- აღნიშნეთ, რომ პირველადი დახმარების აღმოჩენი პირი (მაშველი) შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი ,განურჩველად პროფესისა ,სქესისა და რასისა–მთავარია ფლობდეს შესაბამის უნარ–ჩვევებს;
- რა უნდა იცოდეს პირმა(მაშველმა) პირველადი გადაუდებელი დახმარების ჩასატარებლად;
- ჰკითხეთ მოსწავლეს ,როგორ მოიქცევა იმ შემთხვევაში, თუ არასაკმარისად ფლობს პირველადი გადაუდებელი დახმარების უნარ–ჩვევებს.

7. დახმარების დროული მოხმობა, არსებულ სიტუაციაში ინფორმაციის მოპოვება/გაცემა

განმარტეთ:

- ვინ შეიძება იყოს მაშველის დამხმარე;
- ვის უნდა მოუხმოთ დასახმარებლად;
- როგორ უნდა მოუხმოთ დასახმარებლად;
- არსებულ სიტუაციაში ინფორმაციის მოპოვება/გაცემის თავისებურებები;
- დაზარალებულიდან დაზარალებულის გარემოცვიდან ან შემთხვევის ადგილზე მყოფი პირებისგან საჭირო ინფორმაციის მოპოვება.
- რა ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დაზარალებულის შესახებ სასწრაფო დახმარების /სამაშველო სამსახურის ოპერატორს;
- ადგილზე გამოძახებული ჯანდაცვის გუნდისთვის საჭირო ინფორმაცია.
- ემოციური ფაქტორის როლი ამ პროცესში;

რეკომენდაციები



© Can Stock Photo

სასურველია:

- ❖ თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის სახით;
- ❖ ლექციის მსვლელობისას მასწავლებელმა აჩვენოს ვიდეო მასალა(წყარო მითითებულია შესავალ ნაწილში).
- ❖ პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური, შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
- ❖ თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-3 სლაიდი;

- ❖ თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
- ❖ ბოლო სლაიდს დაარქვთ „დამატებითი მასალა“, სადაც ჩაწერთ ძირითადი დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება, ასევე ინტერნეტ წყაროები სადაც მოსწავლე შეძლებს ნახოს ვიდეო–მასალა აღნიშნულ თემატიკაზე.

ლიტერატურა



პრეზენტაციის მომზადებისას სასურველია გამოიყენოთ სახემძღვანელოს „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ შემდეგი თავები:
 პირველადი გადაუდებელი დახმარების ანბანი DRABC /AVPU შკალა,შემთხვევის დათვალიერება სიტუაციაში გარკვევა,უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დახმარების დროული მოხმობა,

რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდებისამობეჭდილივერსია). სასურველია ვიდეორესურსისგამოყენება, სადაცკარგადჩანსდაუდებელი დახმარების მნიშვნელობის არსიდათავისებურებები, ჩატარების ტექნიკა .



1.2 პრაქტიკული მეცადინეობა

პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უწყობს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი მასალის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველას ტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი მასალა. ამ მიზნით,

სასურველია პრაქტიკული მეცადინეობისთვის გამოყოფილი დრო განაწილდეს შემდეგ აქტივობებზე:

ა) პირველი **15-20** წუთი დაუთმეთ რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტმა თეორიული მასალიდან.

სთხოვეთ სტუდენტებს, მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. **გონებრივი იერიში** ასევე საძიებელია გამოიყენოთ შემდეგი კითხვები:


- რატომ უნდა ვიცოდეთ პირველადი გადაუდებელი დახმარება
- რა შედეგი მოჰყვება თუ არ დავებმარებით დაზარალებულს;
- როგორ ფიქრობთ ამ მოდულის გავლა აუცილებელია?
- როგორ ფიქრობთ ყველა ადამიანი უნდა იცოდეს პირველადი გადაუდებელი დახმარება?
- ვინ უნდა გააკეთოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
- სთხოვეთ მოსწავლეებს თავიანთი სიტყვებით ახსნან, რას ნიშნავს სიტუაციაში გარკვევა, რა და რა სიტუაციები შეიძლება არსებობდეს? მოიყვანეთ მაგალითები, წიგნებიდან, ფილმებიდან, ცხოვრებიდან.

ბ) დარჩენილი დრო დაუთმეთ პრაქტიკულ მეცადინეობას – შემთხვევის ანალიზი

მასწავლებელმა სასურველია მეცადინეობისთვის მოამზადოს რამოდენიმე შემთხვევის სცენარი.

პროფესიული სტუდენტების გადანაწილება მოხდება ჯგუფის ორად გაყოფით, პირველი ჯგუფი უშუალოდ ჩართული იქნება სიმულაციის პროცესში (დაზარალებული, მაშველი, თვითმხილველი), ხოლო მეორე ჯგუფი პასიურ პოზიციაში დააკვირდება პროცესს, ჩაინიშნავს შენიშვნებს და სიმულაციის დამთავრების შემდეგ ერთად განიხილავენ

შენიშვნებს. სტუდენტები (მსმენელები) შეიძლება გადანაწილდნენ ისე, როგორც ნაჩვენებია სურათზე (იხ სურათი N1);



შემხვევა N 1

ქუჩაში შეესწარით რომ ავტომანქანა დაეჯახა ქვეით მამაკაცს, რომელიც ცდილობდა გზის გადაკვეთას. მამაკაცი მარტოა, დაახლოებით ორმოცდაათ წლამდე, თქვენი როგორც მაშველის დავალება:

- აკონტროლეთ თქვენი პირველი რექცია (რაც შეიძლება ნაკლები ემოციის გამოხატვა);
- დარწმუნდით, რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში საფრთხე თქვენარ გემუქრებათ;
- აუხსნით თვითმხილველებს რომ თქვენ შეგიძლიათ დახმარება ;
- შეფასეთ რა სახის დახმარებაა საჭირო;
- შეაფასეთ დაზარალებული DRABC ანბანით;
- შეაფასეთ დაზარალებული AVPU შკალით;
- თუ პაციენტი გონზეა, შეშინებულია, ხმამაღლა ყვირის – დაამშვიდეთ და აუხსენით, რომ თქვენ გაქვთ შესაბამისი უნარები და შეგიძლიათ დახმარება;

- თვითმხლველებიდან ერთ კონკრეტულ პიროვნებას სთხოვეთ დარეკოს სასწრაფო სამედიცინო დახმარებაში და მიაწოდოს სამაშველო სამსახურის ოპერატორს ყველა საჭირო ინფორმაცია !

შემთხვევის დასრულების შემდეგ აუცილებლად უნდა მოხდეს მისი განხილვა ,როგორც პასიურ , ასევე აქტიურ სტუდენტებთან ერთად. შეეცადეთ სტუდენტებმა ერთმანეთს დაუსვან კითხვები და მისცენ შესაბამისი შენიშვნები (არსებობის შემთხვევაში)

შემთხვევა N 2

ზაფხულია, ზღვის სანაპიროზე ისვენებთ. უეცრად შემოგესმათ ქალის ყვირილი; ზღვაში ღრმად, ჰორიზონტზე ჩანს ადამიანი, რომელიც ხელს იქნევს. მიხვდით რომ ვიღაც წყალში იხრჩობა. თქვენ , ცურვა არ იცით იმდენად ,რომ სხვა გადაარჩინოთ დახრჩობას.

როგორია თქვენი რეაქცია? პირველად როგორ იმოქმედებდით?

შეეცადეთ ,მოსწავლეებმა გამოთქვან თავიანთი ვარაუდები,(ამ მაგალითით უკეთ დაიმახსოვრებენ ,რომ საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდება არ შეიძლება) .შემდეგ სცენარი წარმართეთ შემდეგნაირად:

იქვე ორი ბიჭი ცურავდა, რომლებიც სასწრაფოდ მიცურდნენ ქალთან და გამოიყვანეს ნაპირზე,უამრავი თვითმხილველი შეგროვდა,.

- აკონტროლეთ თქვენი პირველი რეაქცია (რაც შეიძლება ნაკლები ემოციის გამოხატვა;)
- აუხსნით თვითმხილველებს რომ თქვენ შეგიძლიათ დახმარება ;
- შეფასეთ რა სახის დახმარებაა საჭირო;
- შეუფასეთ დაზარალებული DRABC ანბანით;
- შეაფასეთ დაზარალებული AVPU შკალით;
- თვითმხლველებიდან ერთ კონკრეტულ პიროვნებას სთხოვეთ დარეკოს სამაშველო სამსახურში და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია ოპერატორს;



1.3 დამოუკიდებელი სამუშაო

(განმარტებამასწავლებლისთვის:

აღნიშნული დავალებასტუდენტსაძლევსინფორმაციასღრმად გაიაზროს :

- ❖ პირველადი გადაუდებელი დახმარების არსი ,
- ❖ კომუნიკაციური უნარჩვევები ემოციური ფაქტორის ზემოქმედებისას
- ❖ მაშველის პასუხიმგებლობა დაზარალებულის გადასარჩენად;
მიეცით დავალება სტუდენტებს(მსმენელებს) მოიფიქრონ თითო სცენარი(შემთხვევა)

მოსწავლეს ევალება დაამუშაოს სახელმძღვანელოს „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ პირველი თავი (გვ 3–5) ,რომლის შესაფასებლად მომდევნო მეცადინეობაზე ჩაუტარდება განმავითარებელი შეფასება ,შემდეგი მაგალითის მიხედვით:

- მოიყვანეთ მაგალითი და ჰკითხეთ სტუდენტს (მსმენელს) როგორ მოიქცევა იგი კონკრეტულ სიტუაციაში საკუთრი თავის უსაფრთხოების დაცვის მიზნით; (მაგალითად: თქვენ დაინახეთ რომ ვიღაც იხრჩობა მდინარეში, თქვენ კი ცურვა არ იცით, როგორ იმოქმედებთ?
- რატომ უნდა შეამოწმოთ დაზარალებულის ცნობიერების დონე ?
- რატომ და როგორ უნდა შევამოწმოთ დაზარალებულის სიფხიზლე (Alert)?
- რატომ და როგორ უნდა შევამოწმოთ დაზარალებულის ვერბალური პასუხი?
- რატომ და როგორ უნდა შევამოწმოთ დაზარალებულის ტკივილზე პასუხი?
- რას ნიშნავს დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია?როგორ ვაფასებთ?
- რას ნიშნავს ცნობიერება შენარჩუნებულია,პაციენტი გონზეა?
- რას ნიშნავს დახმარების დროული მოხმობა პირველადი გადაუდებელი დახმარების ჩატარებისას;
- რა ინფორმაციას აწვდით სასწრაფო დახმარების ოპერატორს?
- რატომ უნდა მიაწოდოთ სასწრაფო დახმარების ოპერატორს თქვენი მონაცემები?
- რატომ უნდა მიაწოდოთ სასწრაფო დახმარების ოპერატორს ინფორმაცია: დაზარალებულის(დაზარალებულათა რაოდენობა), სქესი, ,ასაკი?
- თქვენი აზრით რა მნიშვნელობა აქვს ემოციურ ფაქტორს მაშველისათვის.?
- რა მნიშვნელობა აქვს სწორ კომუნიკაციას როგორც დაზარალებულთან,, ასევე თვითმხილველებთან, _გადაუდებელი სასწრაფო დახმარების გუნდთან



1.4 განმსაზღვრელი შეფასება

სტუდენტის სახელი, გვარი-----

სწავლის შედეგი- I, (1 და 3 კრიტერიუმები)

სწავლის შედეგი-IV (1 და 2 კრიტერიუმები)

შეფასების მიმართულება- გამოკითხვა

შეფასების ინსტრუმენტი- ტესტი- კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით

ინსტრუმენტის შეფასების სქემა

მოცემული ტესტების მიზანია თქვენი ცოდნის შეფასება პირველ დამეოთხე შედეგებთან მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებს, - პირველადი დახმარების ალგორითმების, პირველადი გადაუდებელი დახმარების სამოქმედო გეგმის ელემენტების დაარსებულ სიტუაციაში ინფორმაციის მოპოვება და გაცემის საჭიროებების ცოდნას.

დავალეა უნდა შესრულდეს სასწავლებლის C გარემოში, სწორად და თანმიმდევრულად 90 წუთის განმავლობაში.

შედეგის დასადასტურებლად საჭიროა ყველა დავალების სწორად შესრულება.

ტესტების ინსტრუქცია:

ტესტი-კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით- შეიცავს ერთ სწორ პასუხს. კარგად წაიკითხეთ თითოეული კითხვა და შემოხაზეთ სწორი პასუხი.

1. რა არის პირველადი გადაუდებელი დახმარება?

- A. პირველადი სამედიცინო გამოკვლევა;
- B. დაზარალებულისთვის მაშველის მიერ, პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა რომლის გარეშეც შეიძლება დაზარალებულის მდგომარეობა დამძიმდეს და/ან დაზარალებული გარდაიცვალოს კიდევ;
- C. დაზარალებულის სასიცოცხლო ნიშნების შეფასება;
- D. დაზარალებულის შოკიდან გამოყვანა;

სწორი პასუხია B

2. რა არის პირველადი გადაუდებელი დახმარების ანბანი?
- A. შევაფასოთ დაზარალებულის სასიცოცხლო ნიშნები;
 - B. შევაფასოთ გარემოს უსაფრთხოება, დაზარალებული ცნობიერების დონე, სასუნთქი გზების გამავლობა, სუნთქვა და ცირკულაცია;
 - C. შევაფასოთ დაზარალებულის სასიცოცხლო ნიშნები, დაზარალებულის ცნობიერების დონე, სასუნთქი გზების გამავლობა, სუნთქვა და ცირკულაცია;
 - D. შევაფასოთ გარემოს უსაფრთხოება, დაზარალებულის სქესი, სასუნთქი გზების გამავლობა, სუნთქვა და ცირკულაცია;

სწორი პასუხია B

3. სიცოცხლის შენარჩუნების ბაზისური ალგორითმი არის:
- A. CAB
 - B. ABC
 - C. BCA
 - D. ყველა პასუხი სწორია

სწორია A

4. სიცოცხლის შენარჩუნების ბაზისური ალგორითმიდან C -ცირკულაცია აღნიშნავს:
- A. სუნთქვის ცირკულაციას;
 - B. სისხლის მიმოქცევის ცირკულაციას;
 - C. სასუნთქი გზებში ჰაერის ცირკულაციას;
 - D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია B

5. სიცოცხლის შენარჩუნების ბაზისური ალგორითმიდან B -სუნთქვა აღნიშნავს:
- A. დაზარალებულის მიერ მაშველისთვის ჩასუნთქვას;
 - B. მაშველის მიერ დაზარალებულისთვის ჩასუნთქვას;
 - C. დაზარალებულის ამოსუნთქვას;
 - D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია B

6. სიცოცხლის შენარჩუნების ბაზისური ალგორითმიდან A -სასუნთქი გზების გამავლობა აღნიშნავს:
- A. სასუნთქი გზების გამავლობის დახმობას;
 - B. სასუნთქი გზებით სუნთქვას;
 - C. სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენას;
 - D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია C

7. მაშველისთვის, რომელიც უახლოვდება დაზარალებულს მნიშვნელოვანი საფეხურია:
- A. დაზარალებულთან მივიდეს ხმაურით;
 - B. დაზარალებულთან მივიდეს აუჩქარებლად;
 - C. დაზარალებულთან მივიდეს უსაფრთხოდ;
 - D. ყველა პასუხი სწორია ;

სწორია C

8. შემთხვევისადგილასმისვლისთანავემაშველმასწრაფადუნდაშეაფასოსგარემოსუსაფრთხოება, რადგანშეიძლებათავადგახდესდაზარალებული, შემდეგშეამოწმოსდაზარალებულისცნობიერება.განსაჯეთ:
- A. სწორია
 - B. არასწორია

სწორი პასუხია B

9. როგორ ამოწმებს მაშველი, დაზარალებული გონზეა თუ არა:
- A. ასხამს ცივ წყალს სახეზე;
 - B. ეხება ბეჭეებზე და ეკითხება“ როგორ ხარ?“
 - C. ოდნავ ეხება მხრებზე;
 - D. ძალიან რბილად ეხება სხეულზე;

სწორი პასუხია B

10. დაზარალებული პასუხობს მხოლოდ ტკივილზე, ეს ნიშნავს -მაშველმა შევაფასეთ მისი:
- A. ცნობიერების დონე;
 - B. ვერბალური რეაქცია;
 - C. რექცია ტკივილზე;
 - D. სიფხიზლე.;

სწორიპასუხია C

11. ქუჩაში მიდიხართ, და შეესწართ შემთხვევას, როდესაც მამაკაცმა გულზე ხელი მიიღო, სახეზე ოფლმა დაასხა და დაეცა.
- თქვენი პირველი რექცია:
- A. მიხვალთ და დაიწყებთ დაზარალებულის შეფასებას;
 - B. ეცდებით მოუხმოთ ხალხს დასახმარებლად;

- C. ეცდებით შეაფასოთ გარემოს უსაფრთხოება;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია C

12. დაზარალებულთან მისვლისას მაშველის ქმედება:

- A. აფასებს დაზარალებულის ჩაცმულობას;
- B. აფასებს დაზარალებულის ცნობიერებას;
- C. აფასებს დაზარალებულის არტერიულ წნევას;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია B

მე-4 შედეგი

13. როდესაც რეკავთ სამაშველო სამსახურში ან სასწრაფო სამედიცინო დახმარებაში, რა ინფორმაციას აწვდით ოპერატორს ?

- A. ვინ არის დაზარალებული, რა დაზიანებაა, სად მოხდა შემთხვევა?
- B. სად მოხდა შემთხვევა, რა დაზიანებაა, და რატომ მოხდა დაზიანება
- C. რატომ მოხდა დაზიანება, როდის მოხდა შემთხვევა და სად მოხდა შემთხვევა?
- D. ვინ არის დაზარალებული, რა დაზიანებაა, როდის მოხდა შემთხვევა

სწორი პასუხია A

14. ინფორმაცია რომელსაც აწვდით ოპერატორს უნდა მოიცავდეს:

- A. რა სახის უბედური შემთხვევა მოხდა (მაგ.ავტოავარია, ხანძარი)
- B. დაზარალებულთა რაოდენობას, სქესს ასაკს, დაზიანების სახეობას(მაგ. დამწვრობა, სისხლდენა, უგონო მდგომარეობა);
- C. შემთხვევის ზუსტ ადგილს, თქვენს ტელეფონის ნომერს;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია D

15. მაშველის კითხვები დაზარალებულის მიმართ, თუ ის გონზეა და მართალია:

- A. რა აწუხებს(ტკივილი, თავბრუს, გულისრევა და ა.შ)
- B. დაასახელოს სახელი გვარი, მისამართი;

- C. ქრონიკული დაავადებების არსებობა(შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტონული დაავადება(მაღალი წნევა და ა.შ.)
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია A

16. ინფორმაცია, რომელსაც მაშველი აწვდის ადგილზე გამოძახებულ ჯანდაცვის გუნდს.

- A. ავადმყოფის ჩივილები;
- B. მაშველის მიერ ადგილზე გაწეული დახმარება;
- C. თვითმხილველთა ინფორმაცია;
- D. დაზადრალეზულის გვარი, სახელი ასაკი ,მისამართი

სწორი პასუხია B

შედეგი N1 (1,3 კრიტ) შედეგი N4 (3,4 კრიტ)	შედეგი დადასტურდა	შედეგი ვერ დადასტურდა
სტუდენტის ხელმოწერა:		
შემფასებლის/დამკვირვებლის ხელმოწერა:		

მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელი შედეგები და კრიტერიუმების ცალ-ცალკე დადასტურება არ არის რეკომენდებული, რადგან ისინი შინაარსობრივად დაკავშირებულნი არიან.



1.5 განმსაზღვრელი შეფასება

სტუდენტის სახელი, გვარი-----

სწავლის შედეგი 4 (3,4 კრიტერიუმები)

შეფასების მიმართულება- პროცესზე დაკვირვება

შეფასების ინსტრუმენტი- სიმულაცია

ინსტრუმენტის შეფასების სქემა

მოცემული სიმულაციის მიზანია თქვენი უნარების შეფასება მეოთხე შედეგის მესამე და მეოთხე კრიტერიუმებთან მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებს, - **არსებულ სიტუაციაში ინფორმაციის მოპოვება და გაცემას.**

დავალება უნდა შესრულდეს სასწავლებლის C გარემოში, სწორად და თანმიმდევრულად, 20 წუთის განმავლობაში.

შედეგის დასადასტურებლად საჭიროა ყველა დავალების სწორად შესრულება.

სიმულაციის შინაარსი-სიმულაციაში მონაწილეობს ორისტუდენტი .

ამათგან ერთ- ერთი დაზარალებულია, მეორე მაშველი ;

! მასწავლებელი აფასებს მაშველს.;

წარმოიდგინეთ: ქუჩაში შეესწართ ავტოავარიას .მანქანა შეეჯახა ხეს.

დაზარალებული მძღოლი შუახნის მამაკაცია, როგორც აღმოჩნდა მარტოა.

დაზარალებული ფერმკრთალია.სუნთქავს ღრმად,სახეზე აქვს ოფლი.. გამვლელემა მაშინვე მიაქციეს ყურადღება.თქვენ დაუფლებული ხართ პირველადი გადაუდებელი დახმარების უნარებს. იმოქმედეთ:

შეფასების კრიტერიუმი	X- ასრულებს	0-ვერ ასრულებს
1.უსაფრთხოდ უახლოვდება დაზარალებულს		
2.აფასებს დაზარალებულის ცნობიერებას		
3.უხსნის დაზარალებულს,რომ მას შეუძლია დახმარება		
3.აგროვებს ინფორმაციას პაციენტისგან (თუ ის გონზეა) შემდეგი შეკითხვებით:		
ა).სახელი, გვარი, წლოვანება		
ბ).რა აწუხებს დაზარალებულს?		
გ).თუ შეუძლია მოძრაობა?		
4.აგროვებს ინფორმაციას თვითმხილველთაგან (თუ პაციენტი არ არის კონტაქტური)		
5. ურეკავს სამაშველო/სასწრაფო დახმარების ბრიგადას,		
6.ოპერატორს,ესაუბრება მშვიდად , გადასცემს თავის ტელეფონის ნომერს		
7.გადასცემს ავარიის ადგილმდებრეობას		
8.გადასცემს დაზარალებულიადამიანების რაოდენობას, მათ სქესს.ასაკს		
9..სავარაუდო დაზიანების სახეს(მაგ. მოტეხილობა, სისხლდენა და ა.შ.)		
10.გადასცემს ინფორმაციას ადგილზე მოსულ ჯანდაცვის გუნდს, გაწეული დახმარების შესახებ		

	დადასტურდა	ვერ დადასტურდა
სტუდენტის ხელმოწერა:		
შემფასებლის/დამკვირვებლის ხელმოწერა:		

შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევა–იმ შემთხვევაში, თუკის ტუდენტის ვერახერხებს შედეგის დადასტურებას, მასთან განსახილველია დამატებითი აქტივობები, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას მასწავლებლის კონსულტაციებისა და დასტუდენტის მიერ დამატებითი დამოუკიდებელი სამუშაოს საშუალებით. მასწავლებლის საშუალებას აქვს სტუდენტს ხელმეორედ ჩაუტარდეს განმსაზღვრელი შეფასება.

შესაძლოა აღნიშნული შედეგი მან დადასტუროს მტკიცებულებების შეგროვების მეორე ეტაპზეც. მოდულის მეორე შედეგის მის აღწევად დაგეგმილი აქტივობები მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მოდულის პირველი შედეგის მიღწევასაც, რადგან მოდულის ეფაგებული, რომახალი კოგნიტური თუ პრაქტიკული უნარების დაუფლებასთან ერთად ხდება პირველი შედეგით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების განმტკიცებაც.

სწავლის შედეგი 2- გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის მოშლილობით მიმდინარე მდგომარეობების დროს გადაუდებელი დახმარების გაწევა

მოდულში განსაზღვრულია: თეორიული მეცადინეობა -3 სთ პრაქტიკული მეცადინეობა-9 სთ დამოუკიდებელი სამუშაო -2 საათი შეფასება -3 საათი;

2. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების მოკლე შინაარსი:

- ❖ პირველადი გადაუდებელი დახმარება გულის უეცარი გაჩერების დროს
- ❖ CAB ალგორითმი მოზრდილებში
- ❖ CAB ალგორითმი ბავშვებში
- ❖ პულსის შეფასება
- ❖ არტერიული წნევის გაზომვა
- ❖ საჭირო აღჭურვილობა და ინვენტარი
- ❖ CPR მანეკენი მოზრდილი
- ❖ CPR მანეკენი ბავშვი
- ❖ სასუნთქი ნიღაბი



საათების სავარაუდო განაწილება:

მასწავლებელს შეუძლია თეორიული მეცადინეობა 2.1 და 2.2 ჩაატაროს ერთად, თუ დროითი ჩარჩო აძლევს შესაძლებლობას

- 2.1.თეორიული მეცადინეობა - 1 სთ;
- 2.2. დამოუკიდებელი სამუშაო-1 სთ;

2.1 თეორიული მეცადინეობა




აქტივობების აღწერა:სასურველია შესავალ ნაწილს დაუთმოთ მეცადინეობის პირველი 10–15წუთი. შესავალნაწილში იგულისხმება:

- ❖ გულის უეცარი გაჩერებ- განმარტება;
- ❖ ისეთი ისტორიების და მაგალითების მოყოლა, რაც სტუდენტებში გააღვივებს გულ-ფილტვის რეანიმაციის(გფრ) უნარჩვევების დაეუფლების ინტერესს;
- ❖ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის აღწერა;

შესავალნაწილისშემდეგ, პროფესიულსტუდენტისთვისმაქსიმალურადგასაგებინით, განმარტეთშემდეგისაკითხები:

აუხსენით მსმენელებს საფეხურეობრივად სიცოცხლის გადარჩენის ალგორითმი



1. გულის უეცარი გაჩერების დროს პირველადი გადაუდებელი დახმარების არსი

- გულის უეცარი გაჩერების დროს პირველადი გადაუდებელი დახმარების მიზანი;
- გულის გაჩერების მიზეზები;
- გულის გაჩერების ნიშნები;
- დაზარალებულის პულსის შეფასების მნიშვნელობა;
- დაზარალებულის პულსის განსაზღვრის ტექნიკა;
შენიშვნა : აუხსენით სტუდენტებს(მსმენელებს), როგორ უნდა განსაზღვრონ პულსი სხივის არტერიაზე (პირველადი გადაუდებელი დახმარების სახელმძღვანელო გვ 34)
- არტერიული წნევის გაზომვის მნიშვნელობა;
- არტერიული წნევის გაზომვის ტექნიკა;
 - *შენიშვნა : აუხსენით როგორ უნდა გაზომინ არტერიული წნევა (პირველადი გადაუდებელი დახმარების სახელმძღვანელო გვ 34)*

2. გარემოს უსაფრთხოების შეფასება

- წინა გაკვეთილიდან გამომდინარე რამოდენიმე კითხვით შეახსენეთ მოსწავლეებს როგორ შეაფასონ გარემო, სადაც დაზარალებული იმყოფება

3. ცნობიერების შეფასება და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება

- დაზარალებულის ცნობიერების შეფასება;
- სუნთქვის სიხშირის შემოწმება, დროის ფაქტორის გათვალისწინება, იმ შემთხვევაში თუ კი გული გაჩერებულა).
- როგორ იქცევა მაშველი, თუ შემთხვევის ადგილას არარის მარტო და პაციენტი უგონო მდგომარეობაშია;
- როგორ იქცევა მაშველი, თუ შემთხვევის ადგილას არის მარტო და პაციენტი უგონო მდგომარეობაშია;
- მკაფიოდ განმარტეთ განსხვავება ,როდის ხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების/სამაშველო სამსახურის გამოძახება თუ დაზარალებული ბავშვია ან/ და იმ შემთხვევაში თუ ის მოზარდია;
 - ✓ როგორ იქცევა მაშველი, თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია და ბავშვია ;
 - ✓ როგორ იქცევა მაშველი, თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია და მოზარდია;

4. პულსის შემოწმება საძილე არტერიაზე და სუნთქვის შეფასება

- მოზრდილებში პულსის შემოწმების ტოპოგრაფია;
- ბავშვებში პულსის შემოწმების ტოპოგრაფია;
- პულსის შესამოწმებლად და სუნთქვის შესაფასებლად საჭირო დრო;

- რომელ მხარეზე უნდა შემოწმდეს პულსი (მაშველის მხარეზე თუ მის საწინააღმდეგო მხარეზე) და რატომ;

შენიშვნა : მანეკენზე აჩვენეთ მსმენელებს პულსის შეფასების საფეხურები, საძილე არტერიაზე როგორც მოზარდებში, ასევე ბავშვებში (*პირველადი გადაუდებელი დახმარების სახელმძღვანელო გვ 36*)

რეკომენდაციები



© Can Stock Photo

სასურველია

- ❖ თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
- ❖ პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს თემის სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
- ❖ თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
- ❖ თითოეული საფეხურის ახსნისას მასწავლებელმა მულაჟზე აჩვენოს ქმედება
- ❖ ბოლო სლაიდს დაარქვათ „დამატებითი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება, ასევე ინტერნეტ წყაროები სადაც მოსწავლე შეძლებს უყუროს ვიდეოებს აღნიშნულ თემატიკაზე.

ლიტერატურა



პრეზენტაციის მომზადებისას სასურველია გამოიყენოთ სახელმძღვანელოს „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ შემდეგი ნაწილი:

„გულსისხლძარღვოვანი დასუნთქვის მოშლილობით გამოწვეული მდგომარეობების დროს გადაუდებელი დახმარების გაწევა“ (გვ 32—35).

რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდებისამობეჭდილივერსია). მულაჟები (დიდი, პატარა, სახის ნილაბი). სასურველია ვიდეორესურსის გამოყენება, სადაც კარგად ჩანს გულფილტვის რეანიმაციის თითოეული საფეხურის ტექნიკა



2.2 დამოუკიდებელი მუშაობა

(განმარტება მასწავლებლისთვის:

აღნიშნული დავალებას ტუდენტს აძლევს ინფორმაციას ღრმად გაიაზროს :

- ❖ გულის უეცარი გაჩერების დროს პირველადი გადაუდებელი დახმარების არსი
- ❖ ცნობიერების შეფასება და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება
- ❖ პულსის შემოწმება საძილე არტერიაზე და სუნთქვის შეფასება

დავალება: მოსწავლეს ევალება :1. დაამუშაოს სახელმძღვანელოს „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ (გვ 33–35) რომლის შესაფასებლად მომდევნო მეცადინეობაზე

ჩატარდება განმავითარებელი შეფასება .2. მოიფიქროს შემთხვევა,რომელიც განიილება შემდეგ მეცადინეობაზე.



საათების სავარაუდო განაწილება

2.3 თეორიული მეცადინეობა -2 საათი

2.4 პრაქტიკული მეცადინეობა-9 საათი

2.5 დამოუკიდებელი მეცადინეობა- 1 საათი

2.6 შეფასება- 3 საათი

2.3 თეორიული მეცადინეობა



აქტივობებისაღწერა: სასურველია ჯერ ჩაატაროთ განმავითარებელი შეფასება :

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი –ზეპირი შეკითხვები:

- რა არის სიცოცხლის შენარჩუნების ბაზისური ალგორითმი?
- როგორ ვამოწმებთ დაზარალებული გონზეა თუ არა?
- არის განგაშის საფუძველი ,თუ პაციენტი არ გპასუხობთ ე.ი. უგონო მგდომარეობაშია ?
- რა არის პულსი?
- როგორ გავზომოთ პულსი?
- უნდა დავიწყოთ რეანიმაციული ღონისძიებები თუ პულსი არ არის?
- რა არის სისხლის არტერიული წნევა?
- როგორ გავზომოთ არტერიული წნევა?
- უნდა დავიწყოთ რეანიმაციული ღონისძიებები თუ დაზარალებული არ სუნთქავს?

(ზემოთ მოწოდებული კითხვებით სარეკომენდაციო ხასიათისაა. მასწავლებელს შეუძლია იხელმძღვანელოს მოცემული კითხვებით ან /და შეიტანოს კორექტივები, შექმნას კითხვების სხვა ვარიანტები)

შემდეგ გააცნოთ სტუდენტებს (მსმენელებს) მეცადინეობის თემები:

- ❖ გულ–ფილტვის რეანიმაციის (გფრ) , ძირითადი დებულებები:
- ❖ გულის არაპირდაპირი მასაჟი
- ❖ Airway- სასუნთქი გზების გახსნა და ჩაბერვები

გართულებები:

შესავალინაწილის შემდეგ, პროფესიულის სტუდენტისთვის მაქსიმალურად გასაგებინით, განმარტეთ შემდეგის კითხვები

1. გულ–ფილტვის რეანიმაციის (გფრ) , ძირითადი დებულებები:

- დაზარალებულს არა აქვს პულსი, რა არის მაშველის შემდეგი ქმედება;
- დაზარალებულს აქვს პულსი, რა არის მაშველის შემდეგი ქმედება;
- თუ დარწმუნებული არ არის მაშველი, დაზარალებულს აქვს თუ არა პულსი, რა არის შემდეგი ქმედება;

2. გულის არაპირდაპირი მასაჟი

- გულის არაპირდაპირი მასაჟის არსი (აუხსენით მსმენელებს რა ხდება ამ დროს, გულის, ხერხემლის და მკერდის ძვლის გადაადგილება და მისი მნიშვნელობა სასოცოცხლო ორგანოების სისხლით მომარაგებისთვის.)
- როგორია მაშველის პოზიცია გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩატარების დროს, ანუ სად დგას მაშველი;
- როგორ ზედაპირზე უნდა იწვევს დაზარალებული, რომ სწორად და ეფექტურად ჩატარდეს გულის არაპირდაპირი მასაჟი;
- როგორ იქცევა მაშველი, თუ დაზარალებული წევს გვერზე;
- რატომ უნდა გავხადოთ ტანსაცმელი დაზარალებულს ;
- სად უნდა მოთავსდეს მაშველის ხელი გული , არაპირდაპირი მასაჟის ჩატარების დროს.
- როგორ უნდა მოხდეს მაშველის მარჯვენა და მარცხენა ხელის დაკავშირება ერთმანეთთან ;
- თუ მაშველს ართრიტი აქვს , როგორია ხელის პოზიცია გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩატარებისას;
- როგორ პოზიციაში უნდა იყოს მაშველის იდაყვი;
- სად უნდა იყოს მაშველის მხრები, რომ პოზიცია იყოს იმდენად ზუსტი, რომ ძალა მოდიოდეს მაშველის სხეულიდან და არა ხელებიდან;
- როგორი სიხშირის და სიღრმის ზეწოლები უნდა განხორციელდეს;
- რას უნდა მივაქციოთ ყურადღება თითოეული ზეწოლის დასრულების შემდეგ;
- რატომ არის აუცილებელი გულკერძმა აღიდგინოს საწყისი მოცულობა;
- რატომ უნდა იყოს გულმკერდზე ზეწოლა ძლიერი და ღრმა;

- რატომ არ უნდა იყოს ზეწოლებს შორის წყვეტა ხშირი ან ხანგრძლივი;
- ვინ ითვლის ხმამაღლა;
- რამდენჯერ კეთდება ზეწოლა;

შენიშვნა : მულაჟზე აჩვენეთ მსმელებს გულის არაპირდაპირი ჩატარების ტექნიკა სახელმძღვანელოს მიხედვით, 1 წლამდე, 1-8 წლამდე, 8 წლის ზემოთ თავისებურებების გათვალისწინებით (გვ 37-39)

- რა შეიძლება გამოიწვიოს გულმკერდის კომპრესიისას ხელის არასწორი პოზიციამ;
- რა შეიძლება გამოიწვიოს კომპრესიის დროს ხელის სხ/სხ ადგილას მოთავსებამ;
- რა შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტი ძალით და ღრმად ჩატარებულმა გულმკერდის კომპრესიამ;
- რა შეიძლება გამოიწვიოს არასაკმარისად ღრმა გულმკერდის კომპრესიამ;

1. Airway- სასუნთქი გზების გახსნა და ჩაბერვები

- როგორ უნდა მოვახდინოთ სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენა თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია
- რა პრობლემები შეიძლება შეუქმნას დაზარალებულს ენამ თუ ის უგონო მდგომარეობაშია;
- როგორ ხდება თავის უკან გადაწევა და ნიკაპის წინ წამოწევა;
- რატომ არ უნდა დააწვეთ ნიკაპის ქვემოთ რბილ ქსოვილებს;
- რომელი თითი არ უნდა გამოიყენოთ ნიკაპის წამოსაწევად;
- როგორ ჩასუნთქვას აკეთებს მაშველი (ღრმა თუ ზერელე);
- როგორ იცავ მაშველი ჰერმეტიკობას დაზარალებულის პირის გარშემო მაშველის ტუჩების მოთავსებისას;
- რამდენი ჩაბერვა კეთდება ერთი წამის განმავლობაში;
- როგორ და რატომ აკვირდება მაშველი დაზარალებულის გულმკერდის ექსკურსიას ჩაბერვის დროს;
- როგორ იქცევა მაშველი , თუ ჩაბერვის შემდეგ გულმკერდის ექსკურსია ვერ მიიღო;
- როდის კეთდება მეორე ჩაბერვას და რა დროში

შენიშვნა : მულაჟზე აჩვენეთ მსმელებს გულის არაპირდაპირი ჩატარების ტექნიკა სახელმძღვანელოს მიხედვით, (გვერდი 41)

- რა შეიძლება მოხდეს თუ მაშველი ჩაბერვას აწარმოებს ძალიან სწრაფად ან ძლიერად;
- გულფილტვის რეანიმაციის დროს რამ შეიძლება გამოიწვიოს – ღებინება, ასპირაცია (გადაცდომა), პნევმონია (ფილტვების ანთება);
- რა რაოდენობის ჰაერის ჩაბერვა ხდება დაზარალებულის ფულტვებში;
- რა მოხდება მაშინ თუ მაშველი ჩაბერვას დიდი მოცულობის ჰაერს დაზარალებულს;

შენიშვნა : აუხსენით მსმენელებს რომ გფრ ჩატარების დროს ინფიცირების რისკი ძალიან მაღალია, მაგრამ ოკუპაციური უსაფრთხოების და ჯანდაცვის ადმინისტრირების ორიგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სისხლთან ან ორგანიზმის სითხეებთან კონტაქტის ალბათობა, სასურველია მაშველს ქონდეს სპეციალური „ჯიბის ნილაბი“ ან არ არსებობის შემთხვევაში შეიძლება გამოიყენოს ერთჯერადი ქალაღდი.

2. გართულებები:

- მაშველის ქცევა , თუ დაზარალებული აღებინებს
- მაშველის ქცევა ,შესძლო კისრის და თავის ტრავმისას;
- როდის წყდება გფრ;

რეკომენდაციები



© Can Stock Photo

სასურველია:

- ❖ თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
- ❖ ლექციის მსვლელობისას პედაგოგმა აჩვენოს ვიდეო მასალა:
- ❖ გფრ –მოზრდილი და ბავშვიCPR—Adult and Child(წყარო: <https://www.youtube.com/watch?v=c7Q1s7ppSwc>)<https://www.youtube.com/watch?v=CuUXdQI5LLs>
- ❖ გფრ ბავშვი(წყარო:https://www.youtube.com/watch?v=wRAlnYAG8so&index=17&list=PLV594kyasYl-oCIUOh6_W0_wtxs8kbEiR)
- ❖ https://www.youtube.com/watch?v=EoOSsmK2DKU&list=PLV594kyasYl-oCIUOh6_W0_wtxs8kbEiR&index1
- ❖ პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
- ❖ თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
- ❖ თითოეული საფეხურის ახსნისას მასწავლებელმა მულაქზე აჩვენოს ქმედება
- ❖ ბოლო სლაიდს დაარქვათ „დამატებითი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება, ასევე ინტერნეტ წყაროები სადაც მოსწავლე შეძლებს უყუროს ვიდეოებს აღნიშნულ თემატიკაზე

ლიტერატურა



პრეზენტაციის მომზადებისას სასურველია გამოიყენოთ სახემძღვანელოს „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ შემდეგი ნაწილი:

„გულისხმობარღვოვანიდასუნთქვისმოშლილობითგამოწვეულიმდგომარეობების დროსგადაუდებელი დახმარების გაწევა“

რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდებისამობეჭდილივერსია).მულაჟები (დიდი, პატარა, სახის ნილაბი).სასურველია ვიდეორესურსისგამოყენება თემატიკის შესაბამისად



2.4 პრაქტიკული მეცადინეობა

პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი მასალის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი მასალა. გვრ არის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი პირველად გადაუდებელ დახმარებისას, აუცილებელია სტუდენტი (მაშველი) ზედმიწევნით სწორად დაეუფლოს ამ უნარებს. სასურველია თითოეულმა სტუდენტმა რამოდენიმეჯერ ჩაატაროს მანეკენებზე გვრ. ამ მიზნით, სასურველია პრაქტიკული მეცადინეობისთვის გამოყოფილი დრო –9 საათი განაწილდეს 2–3 პრაქტიკულ მეცადინეობაზე.

განახორციელეთ შემდეგიაქტივობები:

ა) პირველი **10–15** წუთი დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან.

სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. **გონებრივი იერიშისას** შესაძლებელია გამოიყენოთ კითხვები:


- რა არის სიცოცხლის შენარჩუნების ბაზისური ალგორითმი?
- რა არის პულსი?
- რა არის სისხლის არტერიული წნევა?
- როგორ იქცევით თუ დაზარალებული გონზეა და ორი მაშველია/ერთი მაშველია?
- რას ნიშნავს 1 ციკლი გვრ დროს?
- რა დრო სჭირდება 1 ციკლს?
- როდის ვეძახი სასწრაფო სამედიცინო დახმარებას თუ დაზარალებული ბავშვია და გონზე არაა, მაშველი კი ერთია?
- სად ვსაზღვრავთ პულსს მოზრდილის შემთხვევაში/ბავშვის შემთხვევაში?
- რა განსხვავებაა გულმკერდის ზეწლის ჩატარების ტექნიკაში მოზრდილის და ბავშვის დაზარალების დროს?
- რამდენი კომპრესიის სემდეგ ვაკეთებთ სასუნთქი გზების გამავლობის უზრუნველყოფას?
- რამდენ ჩასუნთქვას ვაკეთებ?
- რა გართულება შეიძლება მოჰყვეს არასწორად ჩატარებულ გვრ–ს?

ბ) დარჩენილი დრო დაუთმეთ პრაქტიკულ სიმულაციურ მეცადინეობას მოცემული მაგალითის მიხედვით

სიმულაციური მეცადინეობა

- ✓ სასურველია ჯგუფი გაიყოს ისე რომ ერთ მანეკენთან მოხვდეს ორი სტუდენტი(მაშველი)
- ✓ თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს ერთი მანეკენი მოზრდილის, ერთ ბავშვის, ნილაბი (თითო სტუდენტისთვის ერთი/არარსებობის შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ ერთჯერადი ქალაღი)

სასურველია ჯგუფის გადანაწილება მოხდეს ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები (იხ სურათი N3)



2. გულის არაპირდაპირი მასაჟი

- ✓ მანეკენზე აჩვენეთ გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩატარების ტექნიკა;
- ✓ იმსჯელეთ მაშველის ხელების შესაძლო პოზიციაზე (დიდებში, მოზარდებში, იმ შემთხვევაში თუ მაშველს სახსარი ტკივა);

- ✓ აუხსენით ღრა და სწრაფი ზეწოლის ტექნიკადა მიაქციეთ ყურადღება გულმკერდი უბრუნდებოდეს ნორმას;
- ✓ სიხშირე არ უნდა აღემატებოდეს 100 წუთში;
- ✓ სწორად გათვალეთ სიღრმე მანეკენზე;

ყველა მსმენელმა უნდა გააკეთოს გულმკერდის კომპრესია მინიმუმ ორი წუთი

3. სუნთქვა მოზრდილებში

- ✓ აჩვენეთ როგორ უნდა გაიხსნას ზედა სასუნთქი გზები და ჩაბერეთ ფილტვებში
- ✓ თავის გადაწევა–ნიკაპის ჩამოწევა
- ✓ ეს ტექნიკა თითოეულმა მსმენელმა უნდა გააკეთოს მინიმუმ 10 ჯერ
- ✓ დააკვირდით რომ ჩაბერვის დროს გულმკერდი იწევა მაღლა (ჰაერი ჩადის ფილტვებში)
- ✓ დარწმუნდით რომ მსმენელებს მოსწონთ სიმულაცია, დაამყარეთ პოზიტიური კომუნიკაცია და უკუკავშირი
- ✓ გაწმინდეთ ნილაბი ან მანეკენის სასუნთქი გზები სანამ ერთი პროფესიული სტუდენტიდან მეორეს გადაეცემა

4. ზეწოლა და ჩასუნთქვა

- ✓ დაავალეთ პროფესიული სტუდენტების გააკეთონ ზეწოლა ჩასუნთქვა სიხშირით 30:2
- ✓ თითოეულმა სტუდენტმა გააკეთოს ორი (30:2)
- ✓ ხაზი გაუსვით მთავარ პრინციპებს :
 - ღრმა კომპრესია
 - სწრაფი კომპრესია
 - გულმკერდი უბრუნდება საწყის ფორმას კომპრესიის შემდეგ
 - დააკვირდით იწევა თუ არა გულმკერდი ჩასუნთქვის დროს

5. შეამოწმეთ დაზარალებულის მდგომარეობა

- შეამოწმეთ რომ გარემო უსაფრთხოა
- შეაფასეთ დაზარალებულის ცნობიერება
- გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება
- გააკეთეთ გფრ
- დარწმუნდით რომ ყველა სტუდენტმა გაიარა პრაქტიკა 1 ციკლი 2 წუთის განმავლობაში.


აუხსენით მსმენელებს როგორ ხდება დახმარება ორი მაშველის შემთხვევაში

	მდებარეობა	პასუხისმგებლობა
პირველი მაშველი	დაზარალებულის გვერდიდან	გულმკერდის კომპრესია ✓ 5 სანტიმეტრზე სიღრმე ✓ 100 წუთში ✓ ითვლის ხმამაღლა 5 ციკლის შემდეგ ხდება შენაცვლება

მეორე მაშველი	დაზარალებულის თავიდან	<p>ზედა სასუნთქი გზების გამავლობა და სუნთქვა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ თავის გადაწევა და ქვედა ყბის ჩამოწევა ✓ ჩასუნთქვა სწორი სიღრმით და სიხშირით ✓ ჩასუნთქვის დროს აკვირდება გულმკერდს <p>5 ციკლის შემდეგ ხდება შენაცვლება</p>
---------------	-----------------------	--

შენაცვლება ხდება დაზარალებულის თავის მხრიდან

2.5 დამოუკიდებელი სამუშაო



(განმარტებამასწავლებლისთვის:

აღნიშნული დავალებას ტუდენტს აძლევს ინფორმაციას დრომად გაიაზროს :

- ✓ გულფილტვის რეანიმაციის არსი;
- ✓ გულმკერდის კომპრესიის მნიშვნელობა და ჩატარების ტექნიკა;
- ✓ სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენის მნიშვნელობა და ჩატარების ტექნიკა;
- ✓ ჩასუნთქვის მნიშვნელობა და ჩატარების ტექნიკა;
- ✓ შესაძლო გართულებები გვრ დროს;

მოსწავლეს ევალება დაამუშაოს სახელმძღვანელოს „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ (გვ-33-44)



2.6 განმსაზღვრელი შეფასება

სტუდენტის სახელი, გვარი-----

სწავლის შედეგი- II, (1 კრიტერიუმი) გადაუდებელი დახმარების ღონისძიებები გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მოშლილობით მიმდინარე მდგომარეობების დროს;

შეფასების მიმართულება- გამოკითხვა

შეფასების ინსტრუმენტი- ტესტი- კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით

(მოწოდებული ინსტრუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს სხვა ინსტრუმენტი)

ინსტრუმენტის შეფასების სქემა

მოცემული ტესტების მიზანია თქვენი ცოდნის შეფასება მეორე შედეგთან მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებს, - გადაუდებელი დახმარების ღონისძიებების ცოდნას გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მოშლილობით მიმდინარე მდგომარეობების დროს; დავალება უნდა შესრულდეს სასწავლებლის C გარემოში, სწორად და თანმიმდევრულად 2 საათის განმავლობაში.

შედეგის დასადასტურებლად საჭიროა ყველა დავალების სწორად შესრულება.

ტესტების ინსტრუქცია:

ტესტი-კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით- შეიცავს ერთ სწორ პასუხს. კარგად წაიკითხეთ თითოეული კითხვა და შემოხაზეთ სწორი პასუხი.

1. მოზრდილებში პულსის შეფასება ხდება:

- A. წინამხრის არტერიაზე;
- B. ბარძაყის არტერიაზე;
- C. საძილე არტერიაზე;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია C

2. თუ დაზარალებული ჩვილია, პულისის შეფასება ხდება:

- A. წინამხარის არტერიაზე;
- B. მხრის არტერიაზე;
- C. საძილე არტერიაზე;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია B

3. დაზარალებულის რომელ მხარეს ხდება პულისის შეფასება:

- A. მარჯვენა მხარეს, თუ მაშველი დაზარალებულის მარცხნივ დგას ;
- B. მარცხენა მხარეს, თუ მაშველი დაზარალებულის მარჯვნივ დგას;
- C. იმ მხარეს, რომელ მხარესაც მაშველი დგას;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია C

4. პულისის შეფასებისთვის განსაზღვრული დრო:

- A. 5–10 წმ;
- B. 5–10 წთ;
- C. 0.5–1 წთ;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია A

5. რომელი თითების გამოყენებით ისაზღვრება პულისი სხივის არტერიაზე?

- A. საჩვენებელი და არათითით;
- B. საჩვენებელი და შუა თითი;
- C. შუა თითით და არათითით;
- D. ყველა პასუხი სწორია

სწორია B

6. შეარჩიეთ სწორი პასუხი:

- A. პულისი შეიძლება დავთვალთ 1 წთ–ში;
- B. პულისი შეიძლება დავთვალთ 30 წმ ში და გავამრავლოთ 2– ზე;
- C. პულისი შეიძლება დავთვალთ 15 წმ ში და გავამრავლოთ 4– ზე;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია: D

7. პულისის გაზომვის დროს ,რატომ არ შეიძლება ცერა თითის გამოყენება?

- A. მოუხერხებელი მდებარეობა აქვს;
- B. შეიძლება შეიგრძნო საკუთარი ცერა თითის პულსაცია და არა დაზარალებულის

- სხივის არტერიის პულსაცია;
- C. სქელი კანის ფენა აქვს და აზრი არ აქვს გამოყენებას;
 - D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია B

8. რა არის არტერიული წნევა:

- A. წნევა, რომელიც ვითარდება ვენური სისხლის სისხლძარღვებში გავლის დროს;
- B. წნევა, რომელიც ვითარდება კაპილარული სისხლის სისხლძარღვებში გავლის დროს;
- C. წნევა, რომელიც ვითარდება არტერიული სისხლის სისხლძარღვებში გავლის დროს;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია C

9. რას არის მაქსიმალური არტერიული წნევა:

- A. სისხლის სისტოლური წნევა;
- B. სისხლის დიასტოლური წნევა;
- C. სისხლის მინიმალური წნევა;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია A

10. რას არის მინიმალური არტერიული წნევა:

- A. სისხლის სისტოლური წნევა;
- B. სისხლის დიასტოლური წნევა;
- C. სისხლის მინიმალური წნევა;
- D. ყველა პასუხი სწორია

სწორია B

11. ჯანმრთელი ადამიანის სისხლის წნევა დამოკიდებულია:

- A. პროფესიაზე;
- B. საკვების ხარისხზე;
- C. ასაკზე;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია C

12. არტერიული წნევის გაზომვისას პაციენტის პოზიცია უნდა იყოს:

- A. მჯდომარე;
- B. მწოლიარე;

C. ყველა პასუხ სწორია;

სწორია C

13. არტერიული წნევის გაზომვის დროს, როდის ქრება პულსი:

- A. როდესაც მანჟეტში არსებული წნევა გაუტოლდება არტერიაში არსებულ წნევას;
- B. როდესაც მანჟეტში არსებული წნევა ნაკლებია არტერიაში არსებული წნევაზე;
- C. როდესაც მანჟეტში არსებული წნევა მეტია არტერიაში არსებულ წნევაზე;
- D. ყველა პასუხი სწორია

სწორია C

14. არტერიული წნევის გაზომვისას, ბოლო დარტყმა მაჩვენებელია:

- A. სისტოლური წნევის;
- B. დიასტოლური წნევის;
- C. პულსური წნევის;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია A

15. მაშველი მარტო არის მცირეწლოვან (8 წელზე უმცროს) დაზარალებულთან , როდის იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას :

- A. გულ-ფილტვის რეანიმაციის ორი ციკლის ჩატარების შემდეგ;
- B. გულ-ფილტვის რეანიმაციის ერთი ციკლის ჩატარების შემდეგ;
- C. გულ-ფილტვის რეანიმაციის დაწყებამდე;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია B

16. მაშველი მარტო არის მოზრდილ (8 წლიზე უფროსს) დაზარალებულთან , როდის იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას:

- A. გულ-ფილტვის რეანიმაციის ორი ციკლის ჩატარების შემდეგ;
- B. გულ-ფილტვის რეანიმაციის ერთი ციკლის ჩატარების შემდეგ;
- C. გულ-ფილტვის რეანიმაციის დაწყებამდე;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია C

17. გულის არაპირდაპირი მასაჟის დასაწყებად აუცილებელია მაშველი დარწმუნდეს, რომ დაზარალებულს გაუქრა პულსი:

- A. სწორია;
- B. არასწორია;

სწორია B

18. გფრ-სჩატარება, თუიგისაჭირარარის, ნაკლებადსაზიანოა, ვიდრეაუცილებლობისშემთხვევაშიმისგანთავისშეკავება:

- A. სწორია;
- B. არასწორია;

სწორი პასუხია A

19. გულის არაპირდაპირი მასაჟი არის:

- A. დაზარალებულის გულზე რიტმული ზეწოლა;
- B. დაზარალებულის მკერდის ძვალზე რიტმული ზეწოლა;
- C. დაზარალებულის ზურგზე და მხრებზე რიტმული ზეწოლა;
- D. ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხია B

20. გულის არაპირდაპირი მასაჟი იწვევს:

- A. გულის მიჭყლეტას მკერდის ძვალსა და ხერხემალს შორის;
- B. გულმკერდის შიდა წნევის გაზრდას;
- C. სასიცოცხლო ორგანოების სისხლით მომარაგების უზრუნველყოფას;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია D

21. გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩატარების დროს მაშველის ხელების ლოკალიზაცია მოზრდილ დაზარალებულზე არის :

- A. ცენტრალურად მკერდის ძვალზე;
- B. პირდაპირ გულზე;
- C. მკერდის ძვლის ქვედა მესამედში;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია: A

22. გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩატარების დროს მაშველის ხელების ლოკალიზაცია 1 წლამდე ასაკის ბავშვებში არის :

- A. ცენტრალურად მკერდის ძვალზე;
- B. პირდაპირ გულზე;
- C. მკერდის ძვლის ქვედა მესამედში;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია: C

23. მგულმკერდზე ზეწოლის სიღრმე უზრუნველყოფს:

- A. ღრმა ზეწოლა იწვევს ფილტვების გაშლას;
- B. ზედაპირული ზეწოლა ვერ უზრუნველყოფს ადექვატურ სისხლის მიმოქცევას;
- C. ზეწოლის სიღრმეს არ აქვს მნიშვნელობა;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია : B

24. გულმკერდზე წუთში 100 ზეწოლა უზრუნველყოფს:

- A. ზეწოლების აღნიშნული სიხშირე უზრუნველყოფს ადექვატურ სუნთქვას;
- B. ზეწოლების აღნიშნული სიხშირე უზრუნველყოფს ადექვატურ სისხლის მიმოქცევას;
- C. არ აქვს მნიშვნელობა რა დროში განხორციელდება 100 ზეწოლა;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია B

25. ორი მაშველის მიერ გულ-ფილტვის რეანიმაციის ჩატარებისას, ერთი აკეთებს გულმკერდის კომპრესიას, მეორე უზრუნველყოფს სასუნთქ გზების გამავლობის აღდგენას და ჩასუნთქვას.

ვინ ითვლის ხმამაღლა კომპრესიების რაოდენობას?

- A. მაშველი, რომელიც უზრუნველყოფს სასუნთქი გზების უზრინველყოფას;
- B. მაშველი, რომელიც უზრუნველყოფს გულმკერდის კომპრესიას;
- C. მესამე დამხმარე;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია : B

26. მაშველი 30 კომპრესიის შემდეგ აწარმოებს:

- A. ერთ ჩასუნთქვას;
- B. ორ ჩასუნთქვას;
- C. აგრძელებს გულმკერდზე ზეწოლებს;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია : B

27. უგონოდ გამოარეობაში მყოფ პაციენტებში, როგორ ხდება სასუნთქი გზების გაზავლობის აღდგენა:

- A. თავისუკან წამოწევა დანიკაპის ჩამოწევა
- B. თავისუკან გადაწევა დანიკაპის წამოწევა
- C. თავის დანიკაპის წამოწევა
- D. ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხია : B

28. რას ნიშნავს ობსტრუქცია:

- A. სისხლის მიმოქცევას;
- B. საჭმლის მონელებას;
- C. დახშობას;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია : C

29. უგონომდგომარეობაშია მყოფ პაციენტში , ენასშეუძლიაგამოიწვიოს:

- A. ზემოსასუნთქიგზების ობსტრუქცია;
- B. ქვემო სასუნთქიგზების ოქსტუქციას;
- C. საყლაპავის ობსტრუქცია;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია : A

30. გფრს დროს მაშველის მიერ განახორციელებულმა ძლიერმა ზეწოლამ ნიკაპის ქვემოთ, რბილ ქსოვილებზე შეიძლება გამოიწვიოს:

- A. სასუნთქი გზების ობსტრუქცია;
- B. გულისსისხლძარღვთა სისტემის ობსტრუქცია;
- C. სისხლის მიმოქცევის დარღვევა;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია : A

31. გფრ დროს არ შეიძლება:

- A. ცერა თითის გამყენება ნიკაპის წამოსაწევად;
- B. ნიკაპის ქვემოთ რბილ ქსოვილებზე ზეწოლა;
- C. დაზარალებულის პირის მთლიანად დახურვა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვენტილაციახორციელდება პირით-ცხვირში ჩაბერვების მეთოდით);
- D. არცერთი ზემოთჩამოთვლილი

სწორი პასუხია : D

32. როგორ საზღვრავს მაშველი,დაზარალებულის სწორ პოზიციას და ვილტვებშიჩაბერვის ეფექტურობას?

- A. უზომავს დაზარალებულსს პულსს;
- B. უზომავს დაზარალებულს სისხლის წნევას;
- C. აკვირდება დაზარალებულის გულმკერდის მოძრაობას;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია : C

33. რომელი გზა არის ყველაზე ეფექტური ფილტვეში ჩასუნთქვისათვის:

- A. პირით ცხვირში ჩასუნთქვა;
- B. ცხვირით ცხვირში ჩასუნთქვა;
- C. პირით პირში ჩასუნთქვა;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია : C

34. მაშველის მიერ ამოსუნთქული ჰაერის შემადგენელი ნივთიერებების პროცენტული შემადგენლობა:

- A. დაახლოებით 17% ჟანგბადს და 4% ნახშიროქსიდს;
- B. დაახლოებით 10% ჟანგბადს და 4% ნახშიროქსიდს;
- C. დაახლოებით 7% ჟანგბადს და 3% ნახშიროქსიდს;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია : A

35. ჩაბერვია დროს კუჭის გადაბერვით გამოიწვეული გართულებები:

- A. ლებინება;
- B. ასპირაცია;
- C. პნევმონია;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია : D

36. კუჭის გადაბერვის პრიფილაქტიკა გფრ დროს არის:

- A. 1 წამში თითო ჩაბერვა ;
- B. გულმკერდის ექსკურსიის მისაღებად საჭირო რაოდენობის ჰაერის ჩაბერვა;
- C. სწორად ჩაბერვა;
- D. ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხია : D

37. გფრ დროს მაშველის ხელების არასწორი პოზიცია გულმკერდის კომპრესიისას იწვევს:

- A. ნეკნის ან მახვილისებრი მორჩის მოტეხილობას;
- B. ღვიძლის დაზიანებას;
- C. ფილტვის ან ელენთის დაზიანებას;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია : D

38. მაშველის მიერ ზედმეტი ძალით ჩატარებული კომპრესია იწვევს:

- A. შინაგანი ორგანოების დაზიანებას;
- B. თვალის დაზიანებას;
- C. პირის ღრუს დაზიანებას;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია : A

39. მაშველის მიერ ჩატარებული არასაკმარისი კომპრესია იწვევს:

- A. სასუნთქი ორგანოების სისხლით არასაკმარისად მომარაგებას;
- B. სასიცოცხლო ორგანოების სისხლით არასაკმარისად მომარაგებას;
- C. კუჭის გადაბერვას;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია : B

40. მაშველის მიერ ჰაერის დიდ სუნთქვითი მოცულობის გამოყენება,

სუნთქვანორმაზე მეტის ხშირითა და სასუნთქი გზების გამავლობის დარღვევა იწვევს:

- A. ფილტვის ქსოვილის დაზიანებას და კუჭის გადავსებას;
- B. გულის გადავსებას;
- C. ნეკნების მოტეხილობას;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია : A



2.7 განმსაზღვრელი შეფასება

სტუდენტის სახელი, გვარი-----
 შეფასების ინსტრუმენტი- სიმულაცია

ინსტრუმენტის შეფასების სქემა

მოცემული სიმულაციის მიზანია თქვენი უნარების შეფასება მეორეშედეგის მე-2 კრიტერიუმში მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებს, გადაუდებელი დახმარების გაწევას გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მოშლილობით მიმდინარე მდგომარეობების დროს.

დავალემა უნდა შესრულდეს სასწავლებლის C გარემოში, სწორად და თანმიმდევრულად მანიკენზე ,30 წუთისგანმავლობაში.

შედეგის დასადასტურებლად საჭიროა ყველა დავალების სწორად შესრულება.

სიმულაციის შინაარსი-სიმულაციაში მონაწილეობს ორისტუდენტი (2 მაშველის შემთხვევაში 3 სტუდენტი), ამათგან ერთ ერთი დაზარალებულია , მეორე მაშველი ; !

! მასწავლებელი აფასებს მაშველს.;

წარმოიდგინეთ: ქუჩაში შეესწარით შემთხვევას, ხანშიშესული ქალბატონი ტროტუარზე ჩაიკეცა და წაიქცა. როგორც აღმოჩნდა მარტოა. დაზარალებული ფერმკრთალია. ერთი შეხედვით არ სუნთქავს. თვითმხილველები შეგროვდნენ ირგვლივ. თქვენ დაუფლებული ხართ პირველადი გადაუდებელი დახმარების უნარებს. თქვენი , როგორც მაშველის მოქმედება:

გფრ მოზრდილებში

შეფასების კრიტერიუმი	X-ასრულებს	0-ვერ ასრულებს
აფასებს დაზარალებულის ცნობიერებას და სუნთქვას.		
აფასებს დაზარალებულის პულსს		
სხვას(გამვლელს, თვითმხილველს) სთხოვს გამოიძახოს სასწრაფო დახმარების ან სამაშველო ბრიგადა		
იწყებს დაზარალებულის გფრ-ს		

1.ხელების პოზიცია სწორია		
2.სიხშირე ადექვატურია 100/ წთ (30 კომპრესია ყოველ 18 წმ ში)		
3.სიღრმე ადექვატურია ყველაზე მცირე 5 სმ		
4.გულმკერდის აღდგენა სრულყოფილია		
5.კომპრესიებს შორის დრო მინიმუმადეა შემცირებული : ორი ჩასუნთქვა 10 წმ ზე უფრო ნაკლებ დროში		

გფრ 2 მაშველის შემთხვევაში

პირველი ფაზის ჩატარების შემდეგ ყურადღება გადაიტანეთ მეორე მაშველზე და როლების შეცვლაზე

შედეგი N2	შედეგი დადასტურდა	შედეგი ვერ დადასტურდა
სტუდენტის ხელმოწერა:		
შემფასებლის/დამკვირვებლის ხელმოწერა:		

შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევა—იმ შემთხვევაში, თუკისტუდენტი ვერახერხებს შედეგის დადასტურებას, მასთან განსახილველია დამატებითი აქტივობები, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას მასწავლებლის კონსულტაციებისა და სტუდენტის მიერ დამატებითი დამოუკიდებელი სამუშაოს საშუალებით. მასწავლებლის საშუალებას აქვს სტუდენტს ხელმეორედ ჩაუტარდეს განმსაზღვრელი შეფასება. შესაძლოა აღნიშნული შედეგი მან დაადასტუროს შემდეგი შედეგის დადასტურებისას..

შედეგი 3-ტრავმების, სისხლდენების დროს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა;

მოდულში განსაზღვრულია: თეორიული მეცადინეობა -4 საათი პრაქტიკული მეცადინეობა-10 საათი დამოუკიდებელი შეფასება -3 საათი

მე-3 შედეგი შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად, როგორც შემოთავაზებულია ქვემოთ ან ჩატარდეს მთლიანად.

3. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების მოკლე შინაარსი:

1. ძვლის დაზიანება;
2. რბილი ქსოვილის დაზიანება;
3. თავის, კისრის და სპინალური დაზიანების იდენტიფიცირება;
4. დაზარალებულის მოვლა თავის, კისრის და სპინალური დაზიანების შემთხვევაში;
5. ტვინის შერყევა;პირველადი გადაუდებელი დახმარება ტვინის შერყევის დროს;
6. სისხლდენის სახეები(გარეგანი და შინაგანი სისხლდენა);
7. პირველადი გადაუდებელი დახმარება გარეგანი სისხლდენისას;

საჭირო აღჭურვილობა და ინვენტარი

1. არტაშანი/ მყარი ფიქსატორი(ქოლგა,ფიცარი და აშ რაც შეიძლება საყოფაცხოვრებო გარემოში შეგხვდეს)
2. ყელის ფიქსატორი (სასურველია)
3. ლახტი (სისხლდენის შესაჩერებლად)
4. ქსოვილი (პირდაპირი ნახვევის დასადებად)



. საათების სავარაუდო განაწილება:

- 3.1. თეორიული მეცადინეობა - 2 სთ;
3. 2. პრაქტიკული მეცადინეობა- 5სთ;
3. 3. დამოუკიდებელი სამუშაო- 1 სთ;

3.1 თეორიული მეცადინეობა



აქტივობების დეტალურიალწერა: სასურველია შესავალ ნაწილს დაუთმოთ მეცადინეობის პირველი 10–15 წუთი. შესავალ ნაწილში იგულისხმება:

- ❖ რას წარმოადგენს გულის ძვლისა და რბილი ქსოვილების დაზიანება
- ❖ **განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის ალწერა**
- ❖ ისეთი ისტორიების დამაგალითების მოყოლა, რაც სტუდენტებში გააღვივებს ინტერესს და ეუფლოს პირველადი გადაუდებელი დახმარების უნარჩვევებს ძვლისა და რბილი ქსოვილების დაზიანების დროს.

შესავალ ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტს სასურველია აჩვენოთ ვიდეო მასალა ადამიანის საყრდენ მამოძრავებელი სისტემის შესახებ, რათა შეექმნეთ წარმოდგენა-მყესების, სახსრებისა და ძვლების შესახებ.

(წყარო: https://www.youtube.com/watch?v=Tkb4YzvFSE4&list=PLPzMl_7v9qki_bmaOZ4uG9plwQzmSluCg&index=8);

ამის შემდეგ მაქსიმალურად გასაგებ იქნით, **განმარტეთ** შემდეგის აკითხვები:

ძვალ-კუნთოვანი სისტემის სხვადასხვა დაზიანება რომელიც შეიძლება განვითარდეს ტრავმის დროს

- რა არის ძვლის მოტეხილობა;
- რას ნიშნავს ძვლის ამოვარდნილობა;
- რა არის რბილი ქსოვილების ტრავმა ;

რბილი ქსოვილების დაზიანების ტიპები

- რა არის მყესის დაჭიმვა;

- როდის ვითარდება მყესის დაჭიმვა;
- ანატომიური ცვლილებები მყესის დაჭიმვის დროს;
- ძვლების გადაადგილდება მყესის დაჭიმვის დროს;
- მყესის დაზიანებისას მის ირგვლივ არსებულ ქსოვილში მიმდინარე პროცესები;
- კუნთის ნაწილობრივი გაგლეჯა;
- რას ნიშნავს კუნთის დაჭიმვა;
- სისხლჩაქცევა რბილ ქსოვილებში, რბილი ქსოვილების დაზიანების დროს;

• **რბილი ქსოვილების დაზიანების ნიშნები:**

გონებრივი იერიშის გამოყენებით ეცადეთ სტუდენტებს დაუსვათ კითხვები და თავად ჩამოაყალიბონ მოსაზრებები რა შეიძლება იყოს რბილი ქსოვილის დაზიანების ნიშნები და რატომ?

შემდეგ მათთვის გასაგები ტერმინების გამოყენებით, მაქსიმალურად მარტივად განუმარტეთ

- რატომ ვიტარდება ძლიერი ტკივილი დაზიანების არეში
- რატომ მატულობს ტკივილის ინტენსივობა მოძრაობის დროს, დაზიანების მიმდებარე სხეულის უზნებზე;
- რატომ იზღუდება მოძრაობა დაზიანების არეში;
- რატომ ვითარდება სისხლჩაქცევა ან შეშუპება დაზიანების არეში;
- რატომ ხდება დეფორმაცია დაზიანების მხარეს;

• **პირველი დახმარება რბილი ქსოვილების დაზიანების დროს**

- რა არის მაშველისათვის მთავარი მიზანი დაზარალებულის დახმარებისას, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს რბილი ქსოვილების დაზიანება
- რა შედეგი მოყვება, თუ თქვენ როგორც მაშველი, იმოქმედებთ RICE ალგორითმის მიხედვით
- რას ნიშნავს R- REST- მოსვენება, რატომ არის ეს საფეხური მნიშვნელოვანი;
- რას ნიშნავს I - ICE- ყინული, რატომ არის აუცილებელი ;
- რას ნიშნავს COMPRESSION- (კომპრესია-ზომიერად მჭიდრო ნახვევის დადება), როდის ვადებთ ნახვევს და რატომ;
- რას ნიშნავს E - ELEVATION (ელევაცია –სხეულის დაზიანებული ნაწილის ზემოთ აწევა) როდის ვიყენებთ ამ მეთოდს.

• **პირველი დახმარების თანმიმდევრობა რბილი ქსოვილების სავარაუდო დაზიანებისას:**

- გონებრივი იერიშის გამოყენებით ეცადეთ სტუდენტებს დაუსვათ კითხვები და თავად ჩამოაყალიბონ მოსაზრებები, რა შეიძლება იყოს პირველი საფეხური რბილი ქსოვილების სავარაუდო დაზიანებისას;
- ჰკითხეთ/აუხსენით, როგორ უნდა მოიქცეს მაშველი, თუ ტრავმა ახალი განვითარებულია;

- რბილი ქსოვილების სავარაუდო დაზიანებისას, რატომ უნდა ავწიოთ კიდური ზევით;
 - რატომ უნდა გამოვიძახოთ დროულად სასწრაფო სამედიცინო დახმარება;
 - რას ურჩევთ დაზარალებულს თუ დაზიანება ძალიან მსუბუქია;
- **ძვლის ამოვარდნილობა**
 - რა არის ძვლის ამოვარდნილობა;
 - რამ შეიძლება გამოიწვიოს ძვლის ამოვარდნილობა;
 - ფიზიოლოგიურად რა ხდება ძვლის ამოვარდნილობის დროს სახსარში;
 - რა ნიშნებით გამოიხატება ძვლის ამოვარდნილობა;
 - რომელი სახსრების ამოვარდნილობა გვხვდება, ყველაზე ხშირად, პრაქტიკაში;
 - ქვედა ყბის ძვლის ამოვარდნილობისას, ძვალსა და სახსარში მიმდინარე პროცესი;
 - რა ნიშნებით გამოიხატება ქვედა ყბის ძვლის ამოვარდნილობა;
 - რა არის მამველის ძირითადი მიზანი ქვედა ყბის ამოვარდნილობის დროს;
 - მხრის ძვლის ამოვარდნილობისას ძვალსა და სახსარში მიმდინარე პროცესი;
 - რა ნიშნებით გამოიხატება მხრის ძვლის ამოვარდნილობა;
 - რა არის მამველის ძირითადი მიზანი მხრის ძვლის ამოვარდნილობის დროს;
 - რატომ არ შეიძლება შევასწოროთ მხრის ძვალი ამოვარდნილობის დროს;
 - რა რჩევას მისცემთ დაზარალებულს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოსვლამდე;
- **მოტეხილობა**
 - ძვლის მოტეხილობა და ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესები ძვლის მოტეხილობის დროს;
 - რას ნიშნავს ძვლის ღრძობა;
 - რას ნიშნავს ძვლის ღია მოტეხილობა;
 - რას ნიშნავს ძვლის დახურული მოტეხილობა;
 - რომელი უფრო საშიშია და რატომ;
 - დახურული მოტეხილობის ნიშნები;
 - რატომ ვითარდება დეფორმაცია მოტეხილობის ადგილზე;
 - რა შეიძლება იყოს დაზიანებულ კიდურის უმოდრაობის მიზეზი;
 - როგორ უნდა გამოიცნოს მამველმა დაზარალებულის შესაძლო მენჯის ტრავმა.
- **პირველადი გადაუდებელი დახმარება დახურული მოტეხილობის დროს**
 - დახურული მოტეხილობის დროს დაზარალებულის იმობილიზაციის მნიშვნელობა;
 - რამდენი სახსრის დაფიქსირებაა აუცილებელი, მხრისა და ბარძაყის ძვლების სავარაუდო მოტეხილობისას;
 - როგორ უნდა დაადოს მამველმა დაზარალებულს არტაშანი (შეეცადეთ აჩვენოთ მულაჟზე);
 - რას ნიშნავს მავთულის არტაშანი;
 - საჭიროა თუ არა მოტეხილობის არეში ნახვევით ფიქსაცია;
 - რა საშუალებები შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც არტაშანი, საველე პირობებში;

- როგორ იქცევა მაშველი ქვედა კიდურის სავარაუდო მოტეხილობის შემთხვევაში/ზედა კიდურის სავარაუდო მოტეხილობის შემთხვევაში,თუ არ არის არტამანის (ან მზგავსი საგნის) ,არანაირი საშუალება;
 - როგორია ცეცსლნასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა;
- პირველადი გადაუდებელიდახმარება ღია მოტეხილობის დროს:**
- პირველი საფეხური სავარაუდო ღია მოტეხილობი დროს დაზარალებულის დასახმარებლად;
 - რატომ უნდა მოვაცილოთ ტანსაცმელი დაზიანებული კიდურის მიმდებარე არეს;
 - როგორ შეიძლება შევაჩეროთ სისხლდენა;
 - როგორ ხდება კიდურის იმობილიზაცია სავარაუდო ღია მოტეხილობის შემთხვევაში;
 - დაზარალებულის საავადმყოფოში სასწრაფოდ გადაყვანის მნიშვნელობა;
- პირველადი სამედიცინო დახმარება კისრის ან ხერხემლის დაზიანების დროს:**
- რა ქმედებაა აკრძალული კისრის ან ხერხემლის დაზიანებისას ან მასზე ეჭვის მიტანისას შემთხვევაში;
 - როგორ შეიძლება კისრის დაფიქსირება,კისრის ან ხერხემლის სავარაუდო დაზიანების დროს **(სასურველია მეცადინეობაზე იყოს კისრის ფიქსატორი და მულაჟზე აჩვენოს მასწავლებელმა როგორ ხდება მისი დადება)**;
 - რა შეიძლება გამოიყენოს მაშველმა, როგორც ფიქსატორი ,თუ კისრის საყელო არარის;
 - როგორ ხდება პაციენტის ტრანსპორტირება კისრისა და ხერხემლის სავარაუდო ტრავმისას;
 - რატომ არ შეიძლება ჭრილობასთან შეხება, ძვლის ნამსხვრევის ჩასწორება და უცხო სხეულის მოცილება – კისრისა და ხერხემლის სავარაუდო ტრავმის შემთხვევაში;
- პირველადი გადაუდებელი დახმარება მენჯის ძვლების საეჭვო მოტეხილობის დროს:**
- როდის შეიძლება მიიტანოს ეჭვი მაშველმა მენჯის ძვლების მოტეხილობაზე;
 - რას აკეთებს პირველ რიგში მაშველი , თუ ეჭვია მენჯის ძვლების მოტეხილობაზე;
 - რას ნიშნავს „ბაყაყის “ პოზიცია და როგორია ის? **(სასურველია აჩვენოთ მულაჟზე)**
 - რა დროს არის დაშვებული დაზარალებულის მოძრაობა მენჯის ძვლის სავარაუდო მოტეხილობის შემთხვევაში;
- მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი საკითხები პირველადი გადაუდებელი დახმარებისას , ძვლების სავარაუდო მოტეხილობისას**
- ძვლების სავარაუდო მოტეხილობის დროს ხდება თუ არა კიდურის ჩასწორება ;
 - რატომ უნდა ივარაუდოს მაშველმა ხერხემლის სავარაუდო დაზიანება ნებისმიერი ტრავმის დროს და რა არის პრიორიტეტი მაშველის პოზიციიდან (რომ არ გადრმავდეს ხერხემლის დაზიანება);
 - რატომ არის განსაკუთრებით საშიში მენჯის ძვლების სავარაუდო მოტეხილობა.

რეკომენდაციები



© Can Stock Photo

სასურველია:

- ❖ თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
- ❖ ლექციის მსვლელობისას პედაგოგმა აჩვენოს ვიდეოები
 - მოტეხილობა (წყარო: https://www.youtube.com/watch?v=OVPhOFhb7_Y)
- ❖ პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
- ❖ თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-3 სლაიდი;
- ❖ თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
- ❖ თითოეული საფეხურის ახლსნისას პედაგოგმა მულაჟზე აჩვენოს ქმედება
- ❖ ბოლო სლაიდს დაარქვან „დამატებითი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება, ასევე ინტერნეტ წყაროები სადაც მოსწავლე შეძლებს უყუროს ვიდეოებს აღნიშნულ თემატიკაზე

ლიტერატურა



პრეზენტაციის მომზადებისას სასურველია გამოიყენოთ სახემძღვანელოს „პირველადი გადაუდებელი დახმარება შემდეგი ნაწილი“ მკვლევარ კუნთოვან სისტემის ტრავმა”(გვერდი 44-55)

რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდებისამობეჭდილივერსია).მულაჟი. სასურველია ვიდეორესურსისგამოყენება, სადაც კარგად არის ასახული პირველადი გადაუდებელი დახმარება ძვლების საექვო მოტეხილობის დროს,ზედა და ქვედა კიდურის არტშანი;

3.2 პრაქტიკული მეცადინეობა



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი მასალის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი მასალა. ამ მიზნით, სასურველია პრაქტიკული მეცადინეობისთვის გამოყოფილი დრო განაწილდეს შემდეგ აქტივობებზე:

ა) პირველი**15-20** წუთი დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან.

სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. **გონებრივი იერიშისას** შესაძლებელია გამოიყენოთ სარეკომენდაციო კითხვები :

- რა არის რბილი ქსოვილის დაზიანების ნიშნები?
- რა არის ძვლის ამოვარდნილობა?
- პირველადი დახმარებაძვლის ამოვარდნილობისას;

- რა არის ძვლის მოტეხილობა?
- რამდენი ტიპის მოტეხილობა არსებობს?
- პირველადი დახმარება დახურული მოტეხილობისას;
- პირველადი დახმარება ღია მოტეხილობისას;
- რატომ არის საშიში ხერხემლის დაზიანება?
- როდის უნდა ივარაუდოს მაშველმა მენჯის ძვლების მოტეხილობა?


ბ) დარჩენილი დრო დაუთმეთ პრაქტიკულ სიმულაციურ მეცადინეობას მოცემული მაგალითის მიხედვით.

სიმულაციური მეცადინეობა სასურველია ჩატარდეს სასწავლო C გარემოში, სასურველია მასწავლებელმა შეიტანოს რამოდენიმე სცენარი

მოსწავლეების გადანაწილება მოხდება ჯგუფის ორად გაყოფით , პირველი ჯგუფი უშუალოდ ჩართული იქნება სიმულაციის პროცესში, (დაზარალებული,მაშველი,თვითმხილველი). ხოლო მეორე ჯგუფი პასიურ პოზიციაში დააკვირდება პროცესს, ჩაინიშნავს შენიშვნებს და სიმულაციის დამთავრების შემდეგ ერთად განიხილავენ შენიშვნებს.

მოსწავლეები შეიძლება გადანაწილდნენ ისე როგორც ნაჩვენებია სურათზე (იხ სურათი N3);

სტუდენტთა განლაგება



სასურველია მასწავლებელმა პრაქტიკულად აჩვენოს სტუდენტებს (მსმენელებს) :

- მაშველის მოქმედება RICE ალგორითმის მიხედვით;
- როგორ შეიძლება მოასვენონ და დააფიქსირონ რბილი ქსოვილების სავარაუდო დაზიანების შემთხვევაში, ზედა ან ქვედა კიდური;
- როგორ უნდა დაადოს მაშველმა ყინულიანი საფენი დაზიანების ადგილზე;
- როგორ ხდება კისრის ფიქსატორის დადება;
- როგორ შეიძლება დააფიქსირონ (არტაშანის გამოყენებით) ზედა და ქვედა კიდურები, სავარაუდო მოტეხილობის დროს;
- როგორ შეიძლება დააფიქსირონ ქამრით, ან სხვა საშუალებით (არტაშანის უქონლობისას), ზედა და ქვედა კიდურები, სავარაუდო მოტეხილობის დროს;
- აჩვენეთ მულაჟზე რას ნიშნავს „ბაყაყის“ პოზიცია მენჯის ძვლების სავარაუდო მოტეხილობის დროს;

სასურველია ეს მოქმედებები გააკეთონ სტუდენტებმა რამოდენიმეჯერ.

შემთხვევის სცენარი

თქვენ ხართ ქუჩაში როდესაც დაინახეთ დაახლოებით ორმოცდაათწლამდე ასაკის მამაკაცმა ჩაგარათ,ის მობილურ ტელეფონზე საუბრობდა, მოულოდნელად მას დაუსრიალდა ფეხი და დაეცა, ტკივილისაგან ყვირის და უჭირს ფეხზე წამოდგომა, ყველზე მეტად იტკიებს მარჯვენა ფეხს წვივის არეში,ის მარტოა არავინ ახლავს ,თქვენ როგორც მაშველი:

- თქვენი პირველი რექცია (რაც შეიძლება ნაკლები ემოციის გამოხატვა)
- დარწმუნდით,რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში საფრთხე თქვენ არ გემუქრებათ;
- აუხსნით თვითმხილველებს რომ თქვენ შეგიძლიათ დახმარება ;
- შეფასეთ რა სახის დახმარებაა საჭირო;
- პაციენტი გონზეა, შეშინებულია, ხმამაღლა ყვირის – დაამშვიდეთ და აუხსენით რომ თქვენ გაქვთ შესაბამისი კურსი გავლილი და შეგიძიათ დახმარება;
- თვითმხილველებიდან ერთ კონკრეტულ პიროვნებას სთხოვეთ დარეკოს სასწრაფო სამედიცინო დახმარებაში ;
- გაუკეთეთ დაზარალებულის მარჯვენა ფეხს იმობილიზაცია ;
- დაადეთ მავთულის არტაშანი;
- რა გამოიყენეთ საველე პირბეზში არტაშანის ნაცვლად?
- ისე დაადეთ არტაშანი რომ სავარაუდო მოტეხილობას შორის დაფიქსირებულია ორივე სახსარი ?
- გაქვთ უკიდურესი სიტუაცია არტაშანისათვის არანარი ნივთი არ გაქვთ, როგორ მოახდინეთ დაზიანებული კიდურის ფიქსაცია?

სცენარის დასრულების შემდეგ აუცილებლად უნდა მოხდეს ამ შემთხვევის განხილვა როგორც პასიურ , ასევე აქტიურ სტუდენტებთან ერთად. შეეცადეთ სტუდენტებმა ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები და მისცენ შენიშვნები (თუ მართებულია რათქმაუნდა)

3.3 დამოუკიდებელი სამუშაო



(განმარტებამასწავლებლისთვის:

აღნიშნული დავალებასტუდენტსაძლევსინფორმაციასღრმად გაიაზროს :

- ✓ რბილი ქსოვილის დაზიანების ტიპები
- ✓ პირველადი გადაუდებელი დახმარება ძვლების სავარაუდო მოტეხილობისას;
- ✓ პირველადი გადაუდებელი დახმარება ძვლის სავარაუდო ამოვარდნილობისას;

მოსწავლეს ევალება დაამუშაოს სახელმძღვანელოს „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ მესამე თავი (გვ-44-55) რომლის შესაფასებლად მომდევნო მეცადინეობაზე ჩაუტარდება განმავითარებელი შეფასება

დროის სავარაუდო განაწილება:

- 3.4. თეორიული მეცადინეობა - 2 სთ;
- 3.5. პრაქტიკული მეცადინეობა- 5სთ;
- 3.6 დამოუკიდებელი მუშაობა- 1 სთ;
- 3.7 შეფასება--3 სთ



3.4 თეორიული მეცადინეობა



აქტივობების აღწერა: სასურველია ჯერ ჩაატაროთ განმავითარებელი შეფასება :
განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი - ზეპირი კითხვები

- როგორ უნდა მოიქცეს მაშველი, რბილი ქსოვილების დაზიანებისას, თუ ტრავმა ახალი განვითარებულია;
- რბილი ქსოვილების სავარაუდო დაზიანებისას, რატომ უნდა ავწიოთ კიდური ზევით?
- რატომ უნდა გამოვიძახოთ დროულად სასწრაფო სამედიცინო დახმარება?

- როგორია თქვენი როგორც მაშველის რეაცია თუ ფიქრობთ რომ დაზარალებულს შესაძლოა ჰქონდეს ფეხის მოტეხილობა?
- რა ნიშნები აქვს მყესის დაჭიმვას?
- მოტეხილობის რომელი ფორმაა უფრო მძიმე-ღია თუ დახურული?
- რამდენი სახსრის დაფიქსირებაა აუცილებელი, მხრისა და ბარძაყის ძვლების სავარაუდო მოტეხილობისას?

(ზემოთ მოწოდებული კითხვებით სარეკომენდაციო ხასიათისაა. მასწავლებელს შეუძლია იხელმძღვანელოს მოცემული კითხვებით ან /და შეიტანოს კორექტივები, შექმნას კითხვების სხვა ვარიანტები)

შემდეგ გააცნოთ სტუდენტებს მეცადინეობის თემები:

- ❖ ტვინის შერყევა;
- ❖ პირველადი გადაუდებელი დახმარება ტვინის შერყევის დროს;
- ❖ სისხლძარღვების ტიპები (არტერიები, ვენები, კაპილარები);
- ❖ სისხლდენის სახეები (გარეგანი და შინაგანი სისხლდენა);
- ❖ პირველადი გადაუდებელი დახმარება გარეგანი სისხლდენისას;
- ❖ პირველადი გადაუდებელი დახმარება შინაგანი სისხლდენისას;

შესავალი ნაწილის შემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის მაქსიმალურად გასაგები ენით, **განმარტეთ** შემდეგი საკითხები:

- **ტვინის შერყევა**
 - რა არის ტვინის შერყევა;
 - როდის შეიძლება განვითარდეს ტვინის შერყევა;
 - რა ნიშნები აქვს ტვინის შერყევას;
 - რას ნიშნავს მეხსიერების დაკარგვა;
 - როგორი ტიპის ტკივილი შეიძლება განუვითარდეს დაზარალებულს;
 - როგორ ეხმარება მაშველი დაზარალებულს სავარაუდო ტვინის შერყევისას;
 - როგორ იქცევა მაშველი თუ დაზარალებულს არ უბრუნდება ცნობიერება სამი წთ –ს განმავლობაში;
 - როგორ იქცევა მაშველი თუ დაზარალებულს უბრუნდება ცნობიერება სამი წუთის განმავლობაში;
 - როგორ იქცევა მაშველი, თუ ტვინის შერყევა განვითარდა ვარჯიშის ან თამაშის დროს;
- **სისხლდენა**
 - რომელი ორგანო უზრუნველყოფს სისხლის მუდმივ მოძრაობას ადამიანის ორგანიზმში;
 - როგორ მოძრაობს სისხლი ადამიანის ორგანიზმში;
 - როგორი ტიპის სისხლძარღვები არსებობს;
 - რა არის არტერიები;
 - რა მიმართულებით მიაქვთ არტერიებს სისხლი;
 - რა არის ვენები;
 - რა მიმართულებით მიაქვთ ვენებს სისხლი;
 - რა არის კაპილარები;

- სად არის განლაგებული კაპილარები;
- რა არის დაზიანებული არტერიული სიხლმარღვის დროს;
- როგორი ფერისაა არტერიული დაზიანების დროს ჭრილობიდან გადმოსროლილი სისხლი;
- რატომ არის ძალიან საშიში არტერიული სიხლდენა;
- რა ფერისაა სისხლი ვენური დაზიანები დროს;
- როდის შეიძლება იყოს ძლიერი ვენური სისხლდენა;
- რა არის დამახასიათებელი კაპილარული სისხლდენისათვის;
- როდის აღინიშნება კაპილარული სისხლდენა;
- რა რაოდენობით სისხლი იკარგება კაპილარული სისხლდენის დროს;
- რატომ არის ხშირი შერეული ტიპის სიხლდენა;
- როგორ ჩერდება სისხლდენა;
- რა არის ჭრილობა;
- როგორი ტიპის ჭრილობები არსებობს;
- როგორია ღია ჭრილობა;
- კანის საფარველი როგორ მდგომარეობაში ღია ჭრილობის დროს;
- რა ზიანდება ყველაზე მეტად ღია ჭრილობის დროს;
- რა იწვევს სისხლის დანაკარგს ღია ჭრილობის დროს;
- როგორია დახურული ჭრილობა;
- კანის საფარველი როგორ მდგომარეობაში დახურული ჭრილობის დროს;

- **პირველადი გადაუდებელი დახმარება გარეგანი სისხლდენის დროს**

- რატომ არის მნიშვნელოვანი პირადი უსაფრთხოების დაცვა მაშველისათვის დაზარალებულთან მუშაობისას რომელსაც გამოხატული აქვს გარეგანი სისხლდენა;
- როგორ ხდება პირადი უსაფრთხოების დაცვა ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში; აუხსენით სტუდენტებს (მსმენელებს), **რომ დაზარალებულის სისხლთან შეუიარაღებელი ხელით შეხებისას შეიძლება დაავადდნენ C ჰეპატიტით, შიდსით ან სხვა სისხლით გადამდები დაავადებით!!!** ამიტომ ,თუ ადგილზე არ არის ხელთათმანი ძალიან მნიშვნელოვანია რომ მაშველმა გამოიყენოს,პირსახოცი,ცხვირსახოცი ან სხვა რაიმე ნივთი ჭრილობაზე ზეწოლის განსახორციელებლად.
- რატომ არის აუცილებელი ყურადღება გამახვილდეს დაზარალებულის ცნობიერების და პულსის შეფასებაზე,სისხლდენის ინტენსივობის მიუხედავად;
- კიდევ ერთხელ გაახსენეთ მსმენელებს რას ნიშნავს დაზარალებულის ABC-ს კონტროლი;

- **სისხლდენის შეჩერების მეთოდები**

- ჩამოაყალიბეთ სისხლდენის შეჩერების მეთოდები ზოგადად;
 - აუხსენით სტუდენტებს რას ნიშნავს გარეგანი სისხლდენის შეჩერება პირდაპირი ზეწოლის მეთოდით;
 - რატომ უნდა მოვაშოროთ დაზარალებულს დაზიანების ადგილზე ტანსაცმელი;
 - რატომ უნდა დაათვალიეროს მაშველმა ჭრილობა;
 - რატომ უნდა დარწმუნდეს მაშველი, რომ ჭრილობაში არ არის მახვილი საგნები;
 - როგორ ახდენს მაშველი ჭრილობაზე ზეწოლას;
 - თუ ჭრილობაში უცხო სხეულია რატომ არ შეიძლება ამოღება;
 - დაზარალებულისათვის სხეულის დაზიანებული ნაწილის (ხელის ან ფეხის) ზემოთ აწევის მნიშვნელობა;
 - თუ შესაძლებელია, რატომ არის სასურველი დაზარალებულის დაზიანებული კიდური გულის დონეზე ზემოთ აწეოთ;
 - როდის არ არის რეკომენდირებული კიდურების მალა აწევა და რატომ;
 - აუხსენით სტუდენტებს რას ნიშნავს დამწოლი ნახვევის (ლახტის) დადება;
 - როგორი უნდა იყოს ნახვევი , თუ ძალიან მჭიდროდ დავადებთ რა გართულება შეიძლება მოჰყვეს
 - თუ სისხლი ჟონავს დამწოლი ნახვევიდან ითვლება რომ არასაკმარისად მჭიდროდაა დადებული ნახვევი,რა არის მაშველის შემდგომი ქმედება;
 - რატომ არის რეკომენდირებული დაზარალებულის ზურგზე დაწვენა და ფეხების აწევა სისხლდენის დროს;
 - გარეგანი სისხლდენის დროს რა არის მაშველის პრიორიტეტი;
- მნიშვნელოვანი საკითხები სისხლდენის დროს დაზარალებულის დასახმარებლად**
- რატომ არის განსაკუთრებით საშიში არტერიული სისხლდენა;
 - თუ დაზარალებულის კიდური შემუშუპებულია, დეფორმირებულია და მტკივნეულია—რაზე მიუთითებს ის და არის თუ არა რეკომენდირებული ასეთ დროს დაზიანებული კიდურის ზემოთ აწევა;
 - როდესაც დააბეჭდეს მაშველი დამწოლ ნახვევს დაზარალებულს რა უნდა შეამოწმოს მან ნახვევის ქვემოთ;
 - დროის რა მონაკვეთში უნდა შემოწმდეს პულსი და მგრძნობელობა ნახვევის ქვემოთ;
- პირველადი გადაუდებელი დახმარება შინაგანი სისხლდენის დროს**
- რა არის შინაგანი სისხლდენა;
 - შინაგანი სისხლდენის დაწყების მიზეზები;
 - რომელი ძვლების მტეხილობისას შეიძლება დაისყოს შინაგანი სისხლდენა;
 - რატომ შეიძლება განვითარდეს სისხლდენა შემავალი ჭრილობის დროს;
 - როდის შეიძლება განვითარდეს შინაგანი სისხლდენა გარეგანი სისხლდენის გარეშე;
 - რატომ არის ძალიან საშიში შინაგანი სისხლდენა;
 - რატომ შეიძლება განვითარდეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების (ტვინი,გული, თირკმელი) ჟანგბადით „შიმშილი“;

- რას იწვევს სისხლი, რომელიც შინაგან ორგანოებში გროვდება შინაგანი სისხლდენისას;
- რაზე უნდა მიიტანოს მაშველმა ექვი, როდესაც დაზარალებულს ტრავმის შემდეგ აქვს მკრთალი, ცივი, ნამიანი კანი, ჩქარი, სუსტი პულსი;
- **შინაგანი სისხლდენის ნიშნები:**
 - ჩამოაყალიბეთ შინაგანი სისხლდენის ნიშანები;
 - რაზე მიუთითებს თუ დაზარალებულს გამოხატული აქვს აგზნება, ჭირვეულობა, რომელიც შემდგომში იცვლება ცნობიერების დაბინდვითა და უგონო მდგომარეობით;
 - რაზე მიუთითებს თუ დაზარალებულს, გამოხატული აქვს დაზიანების ადგილზე სისხლჩაქცევა და შეშუპება;
 - რაზე მიუთითებს, თუ დაზარალებულს გამოხატული აქვს სისხლდენა კუჭ-ნაწლავის სისტემიდან;
 - რას მიგვანიშნებს, თუ დაზარალებულს აქვს ალისფერი სისხლიანი გამონადენი სწორი ნაწლავიდან ან მუქი კუპრის ფერი განავალი;
 - რაზე მიგვანიშნებს დაზარალებულის აქვს ღებინება, სისხლიანი ან ყავის ნალექის ფერის პირნალები მასები;
 - რაზე მიუნიშნებს დაზარალებულის სისხლიანი გამონადენი სასქესო ორგანოებიდან;
 - რას მიუთითებს დაზარალებულის ხველა სისხლიანი ნახველით;
 - რას მიუთითებს სისხლიანი გამონადენი ცხვირიდან და ყურებიდან;
- **პირველადი გადაუდებელი დახმარება შინაგანი სისხლდენის დროს:**
 - რატომ უნდა დავაწვინოთ დაზარალებული ზურგზე და ავუწიოთ ფეხები ზემოთ;
 - რატომ უნდა შევუხსნათ დაზარალებულს მჭიდროდ შეკრული ტანსაცმელი კისერზე, გულმკერდზე, წელზე;
 - როდის უნდა გამოიძახოს მაშველმა სასწრაფო დახმარების ბრიგადა;
 - თუ დაზარალებული გონზეა და ძალიან წყურია, როგორ უნდა მოიქცეს მაშველი;
 - როგორ ვახდენთ დაზარალებულის დათბუნებას;
 - დროის რა მონაკვეთში ხდება პულსის, სუნთქვის და ცნობიერების დონის შეფასება;
 - თუ დაზარალებული გონზეა, როგორია მაშველის ქმედება.

რეკომენდაციები



© Can Stock Photo

სასურველია:

- ❖ თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
- ❖ ლექციის მსვლელობისას პედაგოგმა აჩვენოს ვიდეო მასალა:
- ❖ გარეგანი სისხლდენა - (წყარო: <https://www.youtube.com/watch?v=e2GUyLHb7n4>)
- ❖ შინაგანი სისხლდენა - (წყარო: <https://www.youtube.com/watch?v=niIjorsJ8s>)
- ❖ პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
- ❖ თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
- ❖ თითოეული საფეხურის ახსნისას მასწავლებელმა მულაჟზე აჩვენოს ქმედება

ბოლო სლაიდს დაარქვათ „დამატებითი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება,

ლიტერატურა



პრეზენტაციის მომზადებისას სასურველია გამოიყენოთ სახემძღვანელოს „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ შემდეგი ნაწილი: ტვინის შერყევა, სისხლდენა, პირველადი გადაუდებელი დახმარება სისხლდენის სხვადასხვა სახეობის დროს.

რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი (სლაიდებისამობეჭდილივერსია). მულაჟები. სასურველია ვიდეორესურსის გამოყენება თემატიკის შესაბამისად.

3.5 პრაქტიკული მეცადინეობა



პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი მასალის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი მასალა. განახორციელეთ შემდეგი აქტივობები:

ა) პირველი **10–15** წუთი დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან.

სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. **გონებრივი იერიშისას** შესაძლებელია გამოიყენოთ კითხვები:

- რატომ არის საშიში სისხლდენა
- რომელი სისხლდენა უფრო საშიშია გარეგანი თუ შინაგანი
- რა არის ტვინის შერყევის ნიშნები
- რა არის RICE ალგორითმი?

ბ) დარჩენილი დრო დაუთმეთ პრაქტიკულ მეცადინეობას მოცემული მაგალითის მიხედვით

სასურველია მასწავლებელმა მოახდინოს პრაქტიკულად დემონსტრირება :


- როგორ ახდენს მაშველი ჭრილობაზე ზეწოლას;
- როგორ უნდა დაადოს მაშველმა ლახტი სისხლდენისას;
- როგორ უნდა დაადოს მაშველმა დაზარალებულს დამწოლი ნახვევი; სასურველია სტუდენტებმა ივარჯიშონ ზემოთ აღნიშნული უნარების გამომუშავებაზე.

სიმულაციური მეცადინეობა

სიმულაციური მეცადინეობა სასურველია ჩატარდეს სასწავლო C გარემოში, სასურველია მასწავლებელმა შეიტანოს რამოდენიმე სცენარი ;

სტუდენტთა გადანაწილება მოხდება ჯგუფის ორად გაყოფით , პირველი ჯგუფი უშუალოდ ჩართული იქნება სიმულაციის პროცესში, (დაზარალებული,მაშველი,თვითმხილველები). ხოლო მეორე ჯგუფი პასიურ პოზიციაში დააკვირდება პროცესს, ჩაინიშნავს შენიშვნებს და სიმულაციის დამთავრების შემდეგ ერთად განიხილავენ შენიშვნებს.

სტუდენტები შეიძლება გადანაწილდნენ ისე როგორც ნაჩვენებია სურათზე (იხ სურათი N4);



შემთხვევის სცენარი

თქვენი მანქანა შესაკეთებლად დატოვებული შესაბამის სამსახურში. მიაკითხეთ სიტუაციის გასაგებად. ხელოსანი თან თქვენ გესაუბრებათ თან მანქანის ერთ ერთ ნაწილს აკეთებს მანქანაზე, უცებ მოგესმათ ყვირილი და დაინახეთ რომ ხელოსანმა ამოიტანა მანქანიდან ხელები და ერთ ერთი ხელიდან მოდის სისხლი, ჭრილობა დაახლოებით მარცხენა ხელი წინამხრის არეშია, თქვენ როგორც მასველი, როგორ იქცევით?

- როგორია თქვენი პირველი რექცია (რაც შეიძლება ნაკლები ემოციის გამოხატვა)

- დარწმუნდით რომ საფრთხე თქვენ არ გემუქრებათ?
- აუხსნით თვითმხილველებს რომ თქვენ შეგიძლიათ დახმარება ?
- შეფასეთ რა სახის დახმარებაა საჭირო?
- პაციენტი გონზეა, შეშინებულია, ხმამაღლა ყვირის – დაამშვიდეთ და აუხსენით რომ თქვენ გაქვთ შესაბამისი კურსი გავლილი და შეგიძლიათ დახმარება?
- თვითმხილველებიდან ერთ კონკრეტულ პიროვნებას სთხოვეთ დარეკოს სასწრაფო სამედიცინო დახმარებაში ?
- მოახდინეთ ჭრილობაზე პირდაპირი ზეწოლა?
- დაადეთ დაზარალებულს დამწოლი ნახვევი?
- როგორ მოახდინეთ პირადი უსაფრთხოების დაცვა
- ნახვევის დადების შემდეგ შეამოწმეთ პულსი და მგრძობელობა ნახვევის ქვემოთ??
- როგორ შეამოწმეთ პულსი და მგრძობელობა ?
- რამდენ ხანში ერთხელ ამოწმებთ პულსსა და მგრძობელობას
- მოახდინეთ წარწერა ლახტზე :დრო,საათი,წუთი და თარიღი
- მოატავსეთ დაზარალებული ისეთ პოზიციაში რომელიც უზრუნველყოფს სისხლის დინების შეჩერებას?

3.6 დამოუკიდებელი მუშაობა



(განმარტებამასწავლებლისთვის:

აღნიშნული დავალებას სტუდენტს აძლევს ინფორმაციას ღრმად გაიაზროს :

- ✓ ტვინის შერყევა; პირველადი გადაუდებელი დახმარება ტვინის შერყევისას;
- ✓ სისხლდენის ტიპები;
- ✓ პირველადი გადაუდებელი დახმარება გარეგანი და შინაგანი სისხლდენის დროს

პროფესიულ სტუდენტს ევალება: 1) დაამუშაოს სახელმძღვანელოს „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ მესამე თავი (გვ–44–55) რომლის შესაფასებლად მომდევნო მეცადინეობაზე ჩაუტარდება განმავითარებელი შეფასება, 2) სახლში ივარჯიშოს ლახტის და დამწოლი ნახვევის დადებაზე.



3.7 განმსაზღვრელი შეფასება

სტუდენტის სახელი, გვარი-----

სწავლის შედეგი- მე--3 (1,4 კრიტერიუმი) ტრავმების, სისხლდენების დროს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა;
შეფასების მიმართულება- გამოკითხვა

შეფასების ინსტრუმენტი- კომბინირებული ტესტი, რომელიც შესდგება ტესტისგან- კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით ტესტისგან- კითხვები ღია დაბოლოებით;

(მოწოდებული ინსტრუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს სხვა ინსტრუმენტი)

ინსტრუმენტის შეფასების სქემა

მოცემული ტესტების მიზანია თქვენი ცოდნის შეფასება მეორე შედეგთან მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებს, - ტრავმების, სისხლდენების დროს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა;

დავალება უნდა შესრულდეს სასწავლებლის A გარემოში, სწორად და თანმიმდევრულად 1,5 საათის განმავლობაში.

შედეგის დასადასტურებლად საჭიროა ყველა დავალების სწორად შესრულება.

ტესტების ინსტრუქცია:

ტესტი-კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით- შეიცავს ერთ სწორ პასუხს. კარგად წაიკითხეთ თითოეული კითხვა და შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ტესტი -კითხვები ღია დაბოლოებით-- დაფიქრდით და ჩამოაყალიბეთ პასუხი.

1. როგორია თქვენი როგორც მაშველის რეაცია, თუ ფიქრობთ რომ დაზარალებულს შესაძლოა ჰქონდეს ფეხის მოტეხილობა:
- A. სთხოვეთ დაზარალებულს ამოძრაოს ფეხი;
 - B. მოახდინეთ დაზარალებულის ფეხის იმობილიზაცია;
 - C. მოახდინეთ დაზარალებულის ფეხის დათბუნება;
 - D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია B

2. ცნობიერების ხანმოკლე ან ნაწილობრივი დაკარგვა თავის არეში ტრავმის შემდეგ მიუთითებს;
- A. ტვინის შერყევის შესაძლო არსებობაზე;
 - B. ღია ჭრილობის არსებობაზე;
 - C. მოტეხილობის არსებობაზე;
 - D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია : A

3. მყესის დაზიანება სახსართან ახლოს განპირობებული უეცარი, მოულოდნელი მოძრაობით სახსარში, რომელიც იწვევს ძვლების დაშორებას ერთმანეთისაგან და იწვევს ახლომდებარე ქსოვილების გაგლეჯას ეს არის:
- A. მყესის დაჭიმვა
 - B. რუბტურა
 - C. სისხლჩაქცევა
 - D. ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხია : A

4. ძვლის მოტეხილობა ეს არის:
- A. ძველების მთლიანობის დარღვევა;
 - B. ძველების არაბუნებრივი; გადაადგილება სახსარში;
 - C. კუნთების ანმყესების დაზიანება;
 - D. ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხია : A

5. ჩამოთვალეთ რბილი ქსოვილის დაზიანების ნიშნები;

6. რა არის რუბტურა:
-

- A. ძვლის მოტეხილობა;
- B. რბილი ქსოვილის დაზიანება;
- C. სისხლდენის ტიპი;
- D. ყველა პასუხი სწორია

სწორია B

- 7. ჩამოთვალეთ რბილი ქსოვილის დაზიანების ნიშნები;
- 8. განმარტეთ რბილი ქსოვილების პირველადი დაზიანების დროს გამოყენებული აბრევიატურის მნიშვნელობა, თითოეულ ბგერას მიუწერეთ შესატყვისი ნიშნელობა:

- R-
- I-
- S-
- T-

- 9. განმარტეთ რა არის ძვლის ამოვარდნილობა;
- 10. რა ნიშნები აქვს ძვლის ამოვარდნილობას:
 - A. დაზიანების არეში დეფორმაცია;
 - B. დაზიანების არეში შეშუპება;
 - C. დაზიანების არეში მოძრაობის შეზღუდვა;
 - D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია D

- 11. ძვლის ამოვარდნილობის დროს აუცილებელია ჩავასწოროთ ძვალი, რადგან ის არ გამოიწვევს არანაირ დაზიანებას და პირიქით შესაძლოა დროულად ვუშველოთ დაზარალებულს
 - A. სწორია
 - B. არასწორია

სწორი პასუხია B

- 12. ჩამოთვალეთ მოტეხილობის სახეები;
- 13. განმარტეთ დაზიარებული მოტეხილობა;
- 14. დაზიარებული მოტეხილობის ნიშნები შესაძლოა იყოს:
 - A. დეფორმაცია მოტეხილობის ადგილას;
 - B. ხრამუნის მოტეხილ ფრაგმენტებს შორის;
 - C. კიდურის პასიური მოძრაობა;
 - D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია ყველა D

15. თქვენ შეხედეთ რომ ქუჩაში მიმავალი მამაკაცს ფეხი წაებორძიკა და წაიქცა, გარემო უსაფრთხოების შემოწმების შემდეგ მიხვედით მასთან, ის გეუბნებათ რომ სტკივა ძალიან, განსაკუთრებით მენჯის არეში როგორ უნდა მიიტანოთ ეჭვი მენჯის მოტელობაზე, გარდა იმისა რომ პაციენტი ძალიან იტკიებს აღნიშნულ არეს:
- A. სთხოვეთ ასწიოს ხელიდა თუ მენჯია მოტეხილი ის ვერ ასწევს;
 - B. სთხოვეთ ასწიოს ფეხი და თუ მენჯია მოტეხილი ის ვერ აწევს;
 - C. სთხოვეთ წამოდგეს და თუ მენჯია მოტეხილი ის ვერ წამოდგება;
 - D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია B

16. ჩამოაყალიბეთ პირველადი გადაუდებელი დახმარება დახურული მოტეხილობის დროს;
17. თუ ეჭვია მხრის და/ან ბარძაყის მოტეხილობაზე, მინიმუმ რამდენი სახსარის დაფიქსირება უნდა მოხდეს
- A. ერთი სახსრის;
 - B. ორი სახსრის;
 - C. სამი სახსრის;
 - D. არაა საჭირო სახსრის დაფიქსირება;

სწორია C

18. მოტეხილობის არეში არ შეიძლება ნახვევით ფიქსაცია:
- A. სწორია;
 - B. არაა სწორი;

სწორი პასუხია A

19. რა შეიძლება გამოვიყენოთ საველე პირობებში როგორც არტაშანი;
20. ჩამოაყალიბეთ პირველადი გადაუდებელი დახმარება ღია მოტეხილობის დროს;
21. კისრის ან ხერხემლის დაზიანებისას ან მასზე ეჭვის მიტანისას არ შეიძლება დაზარალებულისთვის თავისადაკისრის მოძრაობა!
- A. სწორია
 - B. არასწორია

სწორი პასუხია A

22. თუ არ გვაქვს კისრის საყელო, რა შეიძლება გამოვიყენოთ იმპროვიზირებულ საშუალებად:
- A. ფიცარი;
 - B. ქოლგა;
 - C. მარლაში გადახვეული სქელი ბამბის საყელო;
 - D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია C

23. როგორ პოზიციაში ვაწვენთ დაზარალებულს თუ ექვია მენჯის მოტეხილობაზე:
- A. მარჯვენა გვერდზე;
 - B. მარცხენა გვერდზე;
 - C. ბაყაყის პოზიციაში;
 - D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია C

24. რატომ უნდა დაედოს დაზარალებულს დაზიანების ადგილზე ცივი საფენი:
- A. ცივი საფენი აძლიერებს სისხლჩაქცევას;
 - B. ცივი საფენი ამცირებს შეშუპებას;
 - C. ცივი საფენი ამცირებს ტკივილს;
 - D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია D

25. ცნობიერების ხანმოკლე ან ნაწილობრივი დაკარგვა თავის არეში ტრავმის შემდეგ ეს არის ნიშანი იმისა რომ:
- A. დაზარალებულს შესაძლოა ჰქონდეს ფეხის არეში მოტეხილობა;
 - B. დაზარალებულს შესაძლოა ჰქონდეს ფეხის არეში მოტეხილობა;
 - C. დაზარალებულს შესაძლოა თავის ტვინის შერყევის ნიშნები;
 - D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია C

26. ნებისმიერი ტრავმის დროს გახსოვდეთ ხერხემლის ტრავმის შესაძლო არსებობის შესახებ და არ გაადრმავოთ დაზიანება,
- A. სწორია
 - B. არასწორია

სწორია A

27. თუ ტვინის შერყევა განვითარდა ვარჯიშის ან თამაში სდროს მიეცით საშუალება დაზარალებულს გააგრძელოს თამაში:
- A. სწორია
 - B. არასწორია

სწორია B

28. ჩამოთვალეთ თავის ტვინის შერყევის ნიშნები რომელიც შესაძლოა განვითარდეს ტრავმის დროს:

29. თქვენ ხართ სასურსათო მაღაზიაში, როდესაც დაინახეთ, რომ თქვენს წინ მიმავალი ქალი ცდილობდა აეღო მაღალ თაროზე დადებული ტომატის ქილა. ამ დროს ფეხი დაუცდა და დაეცა. თქვენ შეაფასეთ გარემო, რომელიც თქვენთვის უსაფრთხოა, მიხვედით მასთან, ქალბატონი შეწუხებული სახით ყვირის რომ სტკივა ძალიან და ხელს მარჯვენა ფეხის წვივისკენ იშვერს, თქვენ დაათვალიერეთ ფეხის მიდამო და ის მრთელია, არანაირი ჭრილობა არ არის, მაგრამ ხელით შეხებისას გრძობთ ხრამუნს, თქვენი აზრით როგორი ტიპის მოტეხილობასთან გვაქვს საქმე? როგორია თქვენი შემდგომი სამოქმედო გეგმა დაზარალებულის დასახმარებლად?

30. ჩამოთვალეთ ის სახსრები, სადაც ყველაზე ხშირად ვითარდება ძვლის ამოვარდნილობა.

31. განმარტეთ რა არის ჭრილობა

32. ჩამოთვალეთ ჭრილობის სახეები

33. ღია ჭრილობის დროს

- A. აღინიშნება კანის საფარველის მთლიანობის დარღვევა, ამასთან ხშირად ზიანდება კანქვეშ მდებარე სისხლძარღვები და იწყება გარეგანი სისხლდენა;
- B. სისხლი იკარგება სისხლძარღვებიდან, მაგრამ კანის საფარველი დაზიანებული არ არის;
- C. დაზიანებული ადგილი შესამჩნევად გრილია;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია A

34. დახურული ჭრილობის დროს

- A. აღინიშნება კანის საფარველის მთლიანობის დარღვევა. ამასთან ერთად ხშირად ზიანდება კანქვეშ მდებარე სისხლძარღვები და იწყება გარეგანი სისხლდენა
- B. სისხლი იკარგება სისხლძარღვებიდან, მაგრამ კანის საფარველი დაზიანებული არ არის
- C. დაზიანებული ადგილი შესამჩნევად გრილია
- D. ყველა პასუხი სწორია

სწორია B

35. სისხლძარღვები, რომელთაც სისხლი მიაქვთ გულიდან სხეულის ყველა ნაწილში არის:

- A. არტერიები;
- B. ვენები;
- C. კაპილარები;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია A

36. სისხლძარღვებს რომლის საშუალებითაც სისხლი ბრუნდება გულში, მიეკუთვნება
- A. არტერიები
 - B. ვენები
 - C. კაპილარები
 - D. ყველა პასუხი სწორია

სწორია B

37. ვენებსა და არტერიებს შორის განლაგებულია ყველაზე წვრილი სისხლძარღვები ეს არის
- A. არტერიები
 - B. ვენები
 - C. კაპილარები
 - D. ყველა პასუხი სწორია

სწორია C

38. სისხლძარღვი რომლის დაზიანების შემთხვევაში სისხლი არის მუქი წითელი და ჭრილობიდან მდორედ მოედინება მიეკუთვნება
- A. არტერიები
 - B. ვენები
 - C. კაპილარები
 - D. ყველა პასუხი სწორია

სწორია B

39. სისხლძარღვი, რომლის დაზიანების შემთხვევაში სისხლი ჭრილობიდან შადრევანივით გადმოდის და არის ალისფერი შეფერილობის, მიეკუთვნება :
- A. არტერიული სისხლდენა
 - B. ვენური სისხლდენა
 - C. კაპილარული სისხლდენა
 - D. ყველა პასუხი სწორია

სწორია A

40. სისხლის რა უჯრედებია თრომბოციტები;
41. რა არის კოლტი, როდის და როგორ წარმოიქმნება ის;
42. როდესაც ეხმარებით დაზარალებულს ღია ჭრილობის დროს, როგორ დაიცავთ საკუთარ თავს რომ არ მოხდეს შეხება დაზარალებულის სისხლის წვეთებთან?
43. რატომ არის ძალიან მნიშვნელოვანი პირადი უსუფრთხოების უზრუნველყოფა დაზარალებულთან რომელსაც აქვს ღია ჭრილობა;
-

44. ჩამოთვალეთ სისხლდენის შეჩერების მეთოდები;

45. განსაკუთრებით საშიშია არტერიული სისხლდენა, რადგან ადამიანი სწრაფად კარგავს დიდი რაოდენობით სისხლს.

A. სწორია;

B. არასწორია;

სწორი პასუხია A

46. აღწერეთ შინაგანი სისხლდენა;

47. შინაგანი სისხლდენის ნიშნებია;

A. ცივი, ნამიანი კანი;

B. ჩქარი, სუსტი პულსი;

C. ტკივილი ;

D. წყურვილის შეგრძნება;

E. აგზნება, ჭირვეულობა, რომელიც შემდგომში იცვლება ცნობიერების დაბინდვითა და უგონო მდგომარეობით ;

F. ყველა პასუხი სწორია;

სწორია F

48. თუ დაზარალებულს აქვს ღია ჭრილობა სისხლდენით მარჯვენა წინამხრის არეში, როგორია თქვენი ქმედება როგორც მაშველის;

A. მიეცით გზა სისხლს იდინოს;

B. დაადეთ ლახტი ჭრილობის ქვემოთ;

C. განახორციელეთ პირდაპირი ზეწოლა ჭრილობაზე;

სწორი პასუხია C

49. რომელი სისხლძარღვიდან სისხლდენა არის განსაკუთრებით საშიში:

A. არტერიული სისხლძარღვიდან;

B. ვენური სისხლძარღვიდან;

C. კაპილარიდან;

სწორი პასუხია : A

50. ღია სისხლდენის დროს ნახვევის დადების შემდგომ ყოველ რამდენ ხანში ერთხელ ვამოწმებთ პულსსა და მრძნობელობას დამწოლი ნახვევის ზემოთ

- A. 10 წმ შემდეგ
- B. 10 წთ შემდეგ
- C. 15 წთ შემდეგ
- D. 1 წთ შემდეგ

სწორი პასუხია B

51. შინაგანი სისხლდენა:

- A. ზოგჯერ ვითარდება გარეგანი სისხლდენის გარეშე;
- B. აუცილებლად ვითარდება გარეგან სისხლდენასთან ერთად;
- C. აუცილებლად თან ახლავს მოტეხილობას;
- D. ყველაპასუხი სწორია;

სწორი პასუხია : A

52. როდესაც ტრავმის მიღების შემდეგ აღინიშნება შოკის ნიშნები, მაგრამ არ არის სისხლის თვალსაჩინო დანაკარგი :

- A. ეჭვი მიიტანეთ ჰიპოთერმიაზე;
- B. ეჭვი მიიტანეთ შინაგან სისხლდენაზე;
- C. ეჭვი მიიტანეთ მოტეხილობაზე;
- D. ყველა პასუხი სწორია;

სწორია B

53. აღწერეთ როგორ გააკეთებთ ზედაპირულ ზეწოლას სისხლდენის შეჩერების დროს

54. აღწერეთ როგორ გააკეთებთ დამწოლინახვევის (ლახტის) დადებას სისხლდენის შეჩერების დროს;

55. შინაგანი სისხლდენა ძალიან საშიშია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ სისხლი ამ დროს არ იკარგება ადამიანის სხეულიდან, ის იკარგება სისხლის მიმოქცევის წრიდან. ამის გამო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვა ნორგანოებს (ტვინს, გულს, თირკმელს) შეიძლება დააკლდეს ჟანგბადი.

- A. სწორია
- B. არასწორია

სწორი პასუხია A

56. შინაგანი სისხლდენის დროს სისხლი გროვდება ადამიანის ორგანიზმის ღრუებში, რაც

იწვევს შინაგანი ორგანოების დაზიანებას მათზე ზეწოლის გამო:

- A. სწორია
- B. არასწორია

სწორი პასუხია A

57. თუ ქრილობაში არის უცხო სხეული, არამოიღოთ

(უცხო სხეულის ამოღებისას შეიძლება გაძლიერდეს სისხლდენა ან გაღრმავდეს დაზიანება)

- A. სწორია
- B. არასწორია

სწორი პასუხია A

58. თუ დაზარალებული რომელსაც გამოხატული აქვს ღია ქრილობა უგონო

მდგომარეობაშია, პირველ რიგში აუცილებელია:

- A. სასიცოცხლო ნიშნების შეფასება
- B. სისხლდენის შეჩერება
- C. დაზარალებულის დათბუნება
- D. ყველა პასუხი სწორია

სწორია A

	შედეგი დადასტურდა	შედეგი ვერ დადასტურდა
შედეგი N3		
სტუდენტის ხელმოწერა:		
შემფასებლის/დამკვირვებლის ხელმოწერა:		

განმსაზღვრელი შეფასება 3.8



სტუდენტის სახელი, გვარი----- შეფასების ინსტრუმენტი- პრაქტიკული დავალება

ინსტრუმენტის შეფასების სქემა

მოცემული პრაქტიკული დავალების მიზანია თქვენი უნარების შეფასება მესამე შედეგის მე-2,3 5 კრიტერიუმებთან მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებს, გადაუდებელი დახმარების გაწევას მოტეხილობების და სისხლდენების დროს.

დავალება უნდა შესრულდეს სასწავლებლის C გარემოში, სწორად და თანმიმდევრულად 1,5 საათის განმავლობაში.

შედეგის დასადასტურებლად საჭიროა ყველა დავალების სწორად შესრულება.

დავალების შინაარსი- მონაწილეობს ორი სტუდენტი (ამათგან ერთ ერთი დაზარალებულია , მეორე მაშველი ; ! *მასწავლებელი აფასებს მაშველს.*;

თქვენ მიდიხართ ქუჩაში და დაინახეთ რომ ქალს დაეჯახა მანქანა, გარემოს შეფასების შემდეგ მიუახლოვდით დაზარალებულს, შეაფასეთ ცნობიერება, ის გონზეა, სუნთქავს და აღნიშნავს რომ ფეხის არეში ძალიან ტკივა, დაინახეთ ღიაჭრილობა, სისხლდენით ფეხის არეში, თქვენ გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება, აღწერეთ შემდეგი ქმედება, როგორ მოუვლით დაზარალებულს სასწრაფო გადაუდებელი დახმარების მოსვლამდე.
თქვენი , როგორც მაშველმა იმოქმედეთ :

გფრ მოზრდილებში

შეფასების კრიტერიუმი	X- ასრულებს	0-ვერ ასრულებს
აფასებს დაზარალებულის ცნობიერებას და სუნთქვას.		

აფასებს დაზარალებულის პულსს		
სხვას (გამვლელს, თვითმხილველს) სთხოვს გამოიძახოს სასწრაფო დახმარების ან სამაშველო ბრიგადა		
აფასებს ქვემო კიდურის მდგომარეობას		
მოტებილობის შემთხვევაში აფიქსირებს ქვემო კიდურს (არტაშანით, ან სხვა საშუალებებით)		
აფასებს სისხლდენის სახეობას (არტერიულს, ვენურს, კაპილარულს)		
ადებს ლახტს ჭრილობის ზემოთ		
აკეთებს სათანადო ჩანაწერს (უთითებს ლახტის დადების დროს)		
ამოწმებს ლახტის ქვემოთ პულსს, კანის ტემპერატურას		
აკეთებს დამწოლ ნახვევს		
გადასცემს ინფორმაციას გაწეული დახმარების შესახებ სასწრაფო დახმარების ბრიგადას		

შეფასების ინსტრუმენტი სარეკომენდაციოა. შესაძლებელია მისი ჩანაცვლება სხვა ინსტრუმენტით შეფასების მიმართულების გათვალისწინებით

შედეგი N3	შედეგი დადასტურდა	შედეგი ვერ დადასტურდა
სტუდენტის ხელმოწერა:		
შემფასებლის/დამკვირვებლის ხელმოწერა:		

სწავლის შედეგი I, მე-2 კრიტერიუმი-პირველადი დახმარების აღმოჩენის საჭიროებები:

4. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების მოკლე შინაარსი:

- ❖ რესპირატორული მოშლილობა, მოხრჩობა (ასფიქსია);
- ❖ გულის წასვლა, კოლაფსი, შოკი;
- ❖ ტრავმითა და მოტეხილობით გამოწვეული ტრავმული შოკი;
- ❖ ანაფილაქსიური შოკი;
- ❖ კრუნჩხვითი მდგომარეობანი;
- ❖ ელექტროტრავმა, მეხის დაცემა;
- ❖ ჰიპერთერმიული სინდრომი - სითბური და მზის დაკვრა, დამწვრობა;
- ❖ ჰიპოთერმიული სინდრომი - მოყინვა;
- ❖ ინტოქსიკაცია;
- ❖ --შხამიანი მწერების/ცხოველების ნაკბენები

საათების სავარაუდო განაწილება:

- 4.1 თეორიული მრცადინეობა -1 სთ
- 4.2 პრაქტიკული მეცადინეობა-2 სთ
- 4.3 დამოუკიდებელი სამუშაო-1 სთ
- 4.4 შეფასება-----1სთ



4.1 თეორიული მრცადინეობა



აქტივობების დეტალური აღწერა: სასურველია შესავალ ნაწილს დაუთმოს

მეცადინეობის პირველი 5-7 წუთი. შესავალ ნაწილში იგულისხმება

- ❖ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის აღწერა;
- ❖ ისეთი ისტორიების და მაგალითების მოყოლა, რაც სტუდენტებში გააღვივებს პირველადი გადაუდებელი დახმარების უნარჩვევების დაუფლების ინტერესს.

შესავალინაწილისშემდეგ, პროფესიული სტუდენტისთვის მაქსიმალურად გასაგები ენით, **განმარტეთ** შემდეგისაკითხები:

პირველი დახმარება სხვადასხვა გადაუდებელი მდგომარეობების დროს:

- **სუნთქვის (რესპირატორული) მოშლილობა**
 - რას ნიშნავს სუნთქვის მოშლილობა
 - როდის ვითარდება სუნთქვის მოშლილობა
 - რატომ ვითარდება ჟანგბადის მცირე რაოდენობის მიწოდება ორგანიზმისათვის როდესაც გვაქვს დაზარალებულის სუნთქვის მოშლილობა
 - როდის შეიძლება განვითარდეს სუნთქვის მოშლილობა
 - როდის ვითარდება სასუნთქი გზების ობსტრუქცია
 - როდის ვითარდება ფილტვების აირთა ნორმალური ცვლის მოშლა
 - რომელი ქრონიკული დაავადების დროს შეიძლება განვითარდეს სუნთქვის მოშლა
 - რატომ შეიძლება გაჩნდეს სუნთქვის მოშლის ნიშნები სტრესის დროს
 - რას იწვევს სუნთქვის უკმარისობის დროს ორგანიზმში ჟანგბადის ნაკლებობა
 - რა ქვია ორგანიზმში ჟანგბადის ნაკლებობას
 - რატომ არის აუცილებელი პირველადი გადაუდებელი დახმარება სუნთქვის უკმარისობის დროს
 - რა არის ჰიპოქსიის ნიშნები
 - სუნთქვის მოშლილობის დროს რატომ შეიძლება განვითარდეს აგზნებადობა, აგრესიულობა, ცნობიერების დაბინდვა, უგონო მდგომარეობა
 - რას ნიშნავს კანის ციანოზური შეფერილობა და როდის ვითარდება ის
 - რა გართულება შეიძლება მოჰყვეს სუნთქვის მოშლას თუ ჰიპოქსია არ მოიხსნა
- **პირველადი დახმარება სასუნთქ გზებში უცხო სხეულის არსებობის დროს:**
 - აუხსენით სტუდენტებს რას ნიშნავს მოხრჩობის უნივერსალური ნიშანი და როგორ გამოიხატება ის;
 - თუ დაზარალებული კითხვაზე „იხრჩობი“ თავს გიქნევთ პასუხად და არ შეუძლია საუბარი, რისი მანიშნებელია ეს;
 - რა ტექნიკას ვიყენებთ სასუნთქ გზებში უცხო სხეულის მოხვედრის დროს;
 - რა არის ბიძგების ჩატარების მიზანი, რატომ ვატარებთ ბიძგებს
 - როდემდე აგრძელებთ „ჰეიმლიკის მანევრს“
 - აუხსენით სტუდენტებს ,რომ ჰეიმლიკის მანევრამდე რეკომენდირებულია ბეჭებს შორის დარყმა 3–5 ჯერ
 - როგორ აკეთებთ ჰეიმლიკის მანევრს თუ დაზარალებული არის ორსული;
 - როგორ აკეთებთ ჰეიმლიკის მანევრს თუ მარტო ხართ და თქვენ გადაგცდათ საკვები სასუნთქ გზებში;
 - რა თავისებურება ახასიათებს ჰეიმლიკის მანევრს 1 წლამდე ასაკის ბავშვებში;
- **კვამლისა და აირების ინჰალაცია**

- რისი მიზეზი შეიძლება გახდეს კვამლისა და აირების ინჰალაცია (სუნთქვის უკმარისობის);
- თვენ როგორც მაშველს რა უნდა გახსოვდეთ ყველაზე მეტად როდესაც ეხმარებით დაზარალებულს კვამლისა და ინჰალაციის არსებობის შემთხვევაში;
- როდის იძახებთ პირველად გადაუდებელ დახმარებას;
- რატომ იძახებთ სახანძრო სამაშველო სამსახურს;
- როდის გადაგყავთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე;
- როგორია თქვენი როგორც მაშველის ქმედება თუ დაზარალებული არის უგონო მდგომარეობაში;
- დროის რა მონაკვეთში აწარმოებთ სასიცოცხლო ნიშნების შეფასებას სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოსვლამდე(რამდენ წთ –ში ერთხელ);

• წყალში დახრჩობა

- რა შეიძლება იყოს წყალში დახრჩობის დროს სიკვდილის მიზეზი;
- როგორ ეხმარებით დაზარალებულს სანაპიროზე გამოსვლაში;
- რა დამხმარე საშუალებებს იყენებთ რომ დაზარალებული მოეჭიდოს და გამოვიდეს ნაპირამდე;
- რატომ უნდა ეცადოთ დარჩეთ ნაპირზე და არ შეხვიდეთ წყალში;
- თუ დაზარალებულმა მოაღწია ნაპირამდე და თქვენ ამოგყავთ წყლიდან რატომ უნდა მისცეთ დაზარალებულს ისეთი პოზიცია რომ მისი თავი გულმკერდზე ქვემოთ იყოს;
- მას შემდეგ რაც გამოიყვანეთ დაზარალებული ხმელეთზე, როგორია შემგომი ტაქტიკა;
- როგორ შეაფასებთ ცნობიერების დონეს;
- როგორ იქცევით თუ დაზარალებული უგონოდაა;
- როდის ეძახით სასწრაფო სამედიცინო სამსახურს;
- როგორ იქცევით თუ დაზარალებული გონზეა ,სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები აღსდგა;

• გულის წასვლა

- რა არის გულის წასვლა;
- რამ შეიძლება გამოიწვიოს გულის წასვლა;
- როგორი ხდება პულსი გულის წასვლის დროს;
- როდის აღდგება ადამიანის ზოგადი მდგომარეობა გულის წასვლის შემდეგ;
- რა შეიძლება იყოს გულის წასვლის მიზეზები;
- რა არის გულის წასვლის ნიშნები;
- რა შეიძლება გამოიწვიოს ცნობიერების დაკარგვამ;
- როგორია პირველადი გადაუდებელი დახმარება გულის წასვლის დროს;
- როგორ პოზიციას მისცემთ დაზარალებულს თუ მას გული აქვს წასული
- როგორ უზრუნველყოფთ სუფთა ჰაერის მიწოდებას;
- როდის ვეძახით სასწრაფო სამედიცინო დახმარებას;
- როგორ იქცევით თუ დაზარალებულს დროულად დაუბრუნდა ცნობიერება;
- რა არის კოლაფსი;
- როდის შეიძლება განვითარდეს კოლაფსი;

- რა ნიშნებით გამოიხატება კოლაფსი;
- **შოკი**
 - რას უზრუნველყოფს გულ–სისხლძარღვთა სისტემა ადამიანის ორგანიზმში;
 - რატომ არის აუცილებელი სისხლის მიმოქცევა ადამიანის ორგანიზმისათვის;
 - როდის ვითარდება შოკი;
 - რა არის შოკი;
 - რატომ არის შოკის განვითარება ძალიან საშიში ადამიანის ჯანმრთელობისათვის;
 - რა ფაქტორებმა შეიძლება გააუარესონ მდგომარეობა;
 - რა მნიშვნელობა აქვს დაზარალებულის დამშვდებას, გამხნეებას, მყუდრო გარემოს შექმნას დაზარალებულისათვის შოკის დროს;
 - რას ნიშნავს ე.წ ფსიქოგენური შოკი;
 - რა არის ე.წ ჰიპოვოლემიური შოკი;
 - როდის ვითარდება ჰიპოვოლემიური შოკი;
 - რა არის ანაფილაქსიური შოკი;
 - როდის ვითარდება ანაფილაქსიური შოკი;
 - რა ხდება ანაფილაქსიური შოკის დადგომისას ადამიანის ორგანიზმში;
 - რატომ არის ანაფილაქსიური შოკი ძალიან საშიში;
 - როდის ვითარდება ინფექციურ–ტოქსიური შოკი;
 - როდის ვითარდება კარდიოგენული შოკი;
 - რა კლინიკური ნიშნები უვითარდება დაზარალებულს შოკის ნიშნების განვითარებასთან ერთად;
 - რა ხდება დაზარალებულის ორგანიზმში მას შემდეგ რაც მცირდება ტვინის ჟანგბადით მომარაგება;
 - როგორია პირველადი დახმარება შოკის დროს;
 - თქვენ, როგორც მამველი როგორ ეცდებით მოხსნათ შოკის გამომწვევი მიზეზი (მაგალითად ჰიპოვოლემიური შოკის დროს);
 - რა პოზიცია უნდა მისცეთ დაზარალებულის თავს სხეულთან შედარებით;
 - რატომ უნდა მოათავსოთ დაზარალებულის თავი სხეულზე უფრო დაბლა;
 - რატომ უნდა აუწიოთ ფეხები რაც შეიძლება მაღლა დაზარალებულს შოკის არსებობის დროს;
 - თუ დაზარალებულს უკეთია ქამარი, ან საყელო როგორ იქცევა მამველი;
 - როგორ უნდა დავათბუნოთ დაზარალებული;
 - როდის უნდა გამოვიძახოთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება;
 - დროის რა პერიოდში ვანხორციელებთ დაზარალებულის სუნთქვის,პულსისა და ცნობიერების შეფასებას;
- **ელექტროტრავმა**
 - რა არის ელექტროტრავმა;
 - რა ხდება ადამიანის ორგანიზმში ელექტროტრავმის დროს;
 - რა შეიძლება გახდეს სუნთქვის გაჩერების მიზეზი ელექტრული დენის ორგანიზმში გატარების დროს;

- სად შეიძლება იყოს ლოკალიზებული დამწვრობა ელექტრული დენის ორგანიზმში გატარების დროს;
 - რა ემართება კუნთებს ელექტროტრავმის დროს;
 - რა არის მიზეზი იმასა რომ ხშირად ელექტროტრავმის დროს გაძნელებულია დაზარალებული გამოვიყვანოთ დენის წყაროდან;
 - რატომ არის მნიშვნელოვანი მაშველისათვის პირველ ეტაპზე ეცადოს დენის წყაროს გამორთვას და არ მიეკაროს დაზარალებულს;
 - ჩამოაყალიბეთ ელექტროტრავმის სახეები;
 - როგორია მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული დაზიანება;
 - რატომ ვითარდება მძიმე დამწვრობა მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმის დროს;
 - რატომ შეიძლება მოხდეს დაზარალებულის „გადასროლა“ მნიშვნელოვან მანძილზე ელექტროტრავმის დროს;
 - რა შეიძლება გამოიწვიოს დაზარალებულის „გადასროლამ“ მანძილზე ელექტროტრავმის დროს;
 - რისი მიზეზი შეიძლება გახდეს დაბალი ვოლტაჟით გამოწვეული დაზიანება;
 - უხშირესად როდის ვითარდება დაბალი ვოლტაჟით გამოწვეული დაზიანება;
 - რომელი ასაკობრივი ჯგუფი მიეკუთვნება დაბალი ვოლტაჟით გამოწვეული დაზიანების განსაკუთრებით საშიშ რისკს;
 - უხშირესად სხეულის რომელ არეშია დენის შესვლის ადგილი დაბალი ძაბვით მიყენებული ელექტროტრავმის დროს;
 - უხშირესად სხეულის რომელ არეშია დენის გამოსვლის ადგილი დაბალი ძაბვით მიყენებული ელექტროტრავმის დროს;
 - რატომ უნდა ვეცადოთ დავადგინოთ როგორი შეიძლებაოდა ყოფილიყო ელექტრული დენის მიმართულება სხეულში;
 - რა შეიძლება განვითარდეს ელვით განპირობებული ელექტროტრავმის დროს;
 - რატომ არის საშიშ ელვის დარტყმა;
 - როგორ ვებმარებით დაზარალებულს ელვის დარტმის შემთხვევაში;
- **კრუნჩხვა (გულყრა)**
 - რა არის გულყრის განმაპირობებელი ფაქტორი;
 - როგორია დაზარალებულის ცნობიერება გულყრის შემდეგ;
 - რა არის ეპილეფსიური გულყრა;
 - რა შეიძლება განვითარდეს ეპილეფსიური გულყრის დროს ადამიანის ორგანიზმში;
 - რა არის ფებრილური გულყრა;
 - რამ შეიძლება გამოიწვიოს ფებრილური გულყრა ბავშვთა ასაკში;
 - დაზარალებულს რომელსაც განუვითარდა გულყრა თქვენი როგორც მაშველის უპირველესი მიზანი რა არის, სხეულის რომელი ნაწილის დაზიანება უნდა ავარიდოთ ტავიდან დაზარალებულს;
 - როგორი პოზიცია უნდა მივცეთ დაზარალებულს;
 - რისგან უნდა დაიცვათ დაზარალებულის კიდურები;

- დაზარალებულს თუ აცვია მჭიდრო ტანსაცმელი, უკეთია ქამარი/ჰალტუხი – როგორ იქცევით;
 - რა უნდა შეინარჩუნოთ დაზარალებულის ცნობიერების სრულ დაბრუნებამდე;
 - როდის ვიძახებთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას;
- **დამწვრობა**
 - რა ვითარდება დამწვრობის დროს მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად დაზიანებულ არეში;
 - რას იწვევს მაღალი ტემპერატური ზემოქმედების დროს ქსოვილების დაზიანება და შეშუპება;
 - მაღალი ტემპერატური ზემოქმედების დროს რა გადაედინება სისხლძარღვებიდან ქსოვილებში;
 - რატომ მცირდება ჟანგბადის მიწოდება სხეულის სხვადასხვა ნაწილებში მაღალი ტემპერატური ზემოქმედების დროს ;
 - მაღალი ტემპერატური ზემოქმედების დროს დაზიანებულ არეში ქსოვილების დაზიანების შედეგად რა გამოიყოფა დიდი რაოდენობით;
 - რომელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მავნე ნოვთიერებების „ტოქსინების“ გამოყოფა მაღალი ტემპერატური ზემოქმედების დროს ;
 - რატომ არის ხშირად სხეულის დიდ ფართზე დამწვრობის დროს თირკმლის ფუნქციების მოშლა;
 - მაღალი ტემპერატური ზემოქმედების დროს რა შეიძლება იყოს ინფექციის შეჭრის წყარო ორგანიზმში;
 - რა არის თერმული დამწვრობა;
 - რა არის ქიმიური დამწვრობა;
 - რა არის ელექტრული დამწვრობა;
 - რა არის რადიაციული დამწვრობა;
 - რა არის საშიში დამწვრობის დროს თუ ოთახში კვამლია და მისი განიავება შეუძლებელია;
 - სად უნდა გადავიყვანოთ დაზარალებული თუ ოთახში კვამლია და მისი განიავება შეუძლებელია;
 - როგორ იქცევით თუ დაზარალებულზე იწვის ტანსაცმელი;
 - თუ საშუალება არ გაქვთ დაზარალებულს დაასხათ წყალი, გადააფარეთ სხეულს არასინთეტიკური ქსოვილი, რას გამოწვევს ეს;
 - როდის ამოწმებთ დაზარალებულის ცნობიერებას;
 - როდის უზრუნველყოფთ დაზარალებულის ABC-ს კონტროლს ;
 - საშიშია თუ არა დამწვრობის დროს ცხელი აირების ჩასუნთქვა;
 - როდის ვიწყებთ დამწვრობის დროს დამწვარი ადგილების ცივი წყლით გაგრილებას;
 - რამდენი წუთი უნდა დავუთმოთ დაზარალებულის დაზიანებული არის წყლით ჩამოხანას თერმული და ელექტრული დამწვრობის დროს;
 - რამდენი წუთი უნდა დავითმოთ დაზარალებულის დაზიანებული არის წყლით ჩამოხანას ქიმიური დამწვრობის დროს;

- **ჰიპერტერმია**

- ადამიანის ნორმალური ტემპერატურა;
- რა ხდება ფიზიოლოგიურად ადამიანის ორგანიზმში გარემოში არსებული სიცივის დროს;
- რა ხდება ფიზიოლოგიურად ადამიანის ორგანიზმში როდესაც გარემოში მაღალი ტემპერატურაა;
- რა შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ორგანიზმში სხეულის ტემპერატურის მნიშვნელოვანმა მომატებამ ან დაკლებამ;
- რა შეიძლება განითარდეს ადამიანის ორგანიზმზე მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად;
- რა არის მზის დაკვრა და როდის ვითარდება ის;
- რა ხდება ადამიანის ორგანიზმში ჰიპერტერმიის დროს;
- რა წარმოადგენს განსაკუთრებით საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ჰიპერტერმიის დროს;
- როგორია პირველადი გადაუდებელი დახმარება ჰიპერტერმიის დროს;
- რატომ ვიყენებთ ვენტულატორს (ჰაერის გამაგრილებელს);
- რა პოზიცია უნდა მისცეთ დაზარალებულს;
- რატომ აძლევთ ცივ წყალს დასალავად დაზარალებულს;
- როდის იძახებთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას;

- **ჰიპოტერმია**

- რა არის ჰიპოტერმია;
- როდის ვითარდება ჰიპოტერმია;
- რამდენჯერ უფრო სწრაფად ვითარდება ჰიპოტერმია წყალში, ვიდრე ჰაერზე ყოფნას;
- რომელ ასაკობრივ ჯგუფს უვითარდება ჰიპოტერმია ყველაზე ხშირად;
- როგორია პირველადი გადაუდებელი დახმარების ტაქტიკა ჰიპოტერმიის დროს;
- როდის გამოგვყავს დაზარალებული ცივი გარემოდან;
- როდის ვიძახებთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას;
- როგორ იქცევა მაშველი თუ დაზარალებულის ტანსაცმელი სველია;
- როგორ უნდა გაათბოთ დაზარალებული;

- **მოყინვა**

- როდის არის მოყინვის განვითარების საშიშროება;
- სხეულის რომელ ნაწილებში ვითარდება მოყინვა ადვილად;
- როგორ განსხვავდება ვიზუალურად სხეულის მოყინული არე (დაზიანებული არე) ჯანმრთელი არისაგან;
- როგორია მგრძობელობა სხეულის მოყინულ არეში;
- რა შეიძლება განვითარდეს დაზიანებულ უბანზე;
- რა არის დამახასიათებელი მსუბუქი მოყინვის დროს
- როგორია პირველადი გადაუდებელი დახმარების ტაქტიკა მოყინვის დროს;
- თუ დაზარალებულს უკეთია ხელზე სამკაულები და ხელიმოყინულია, როგორ იქცევა მაშველი;

- როგორია მაშველის ტაქტიკა თუ დაზარალებულს აცვია ფეხსაცმელები და მოყინული არის ფეხები;
- რითი უნდა გავათხოთ სხეულის დაზიანებული ნაწილი;
- თუ მოყინულ არეს სწრაფად არ დაუბრუნდება ფერი როგორ იქცევა მაშველი;
- თუ მოყინულ არეზე განვითარდა ბუმტუკები, შეიძლება თუ არა ბუმტუკების მთლიანობის დარღვევა;
- სხეულის მოყინვის შემთხვევაში რა შეამცირებს შეშუპებასა და ტკივილს;
- რატომ არ შეიძლება მოყინვის დროს მოყინული ნაწილის დაზელვა და მასაჟი;
- რატომ არ უნდა დავადოთ მოყინულ მიდამოს სათბური;
- რატომ არ უნდა დასვათ დაზარალებული სითბოს წყაროსთან ან ცეცხლთან ძალიან ახლოს;

• მოწამვლა

- რა არის მოწამვლა;
- რა შეიძლება იყოს ორგანიზმისათვის მომწამლავი ნივთიერები (შხამი) ;
- რატომ არის საშიში მომწამლავი ნივთიერების (შხამის) მოხვედრა ადამიანის ორგანიზმში;
- რა ტიპის მოწამვლები არსებობს;
- რა მნიშვნელობა აქვს დროულად და სწორად ჩატარებულ პირველად დახმარებას მოწამვლების დროს;
- რაზეა დამოკიდებული გადაუდებელი დახმარების ფორმა;
- რა არის მოწამვლისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები;
- როგორია დაზარალებულის კანის ფერი საექვო მოწამვლის დროს;
- როგორია დაზარალებულის სხეულის ტემპერატურა საექვო მოწამვლის დროს;
- როგორია დაზარალებულის გულის მუშაობა საექვო მოწამვლის დროს;
- როგორია დაზარალებულის სუნთქვა საექვო მოწამვლის დროს;
- როგორია მაშველის ტაქტიკა დაზარალებულის მიმართ თუ ეჭვია მოწამვლაზე
- რატომ უნდა დავათვალიეროთ გარემო, სადაც დაზარალებული იმყოფება;
- როდის ეძახის მაშველი სასწრაფო სამედიცინო დახმარებას;
- როდის ამოწმებს მაშველი ცნობიერების დონეს და ატარებს ABC კონტროლს;
- თუ ეჭვია იმის, რომ დაზარალებულს აქვს გადაყლაპული მომწამლავი ნივთიერება , თქვენ როგორც მაშველი ცდილობთ თუ არა გამოიწვიოთ დაზარალებულის პირღებინება;
- როდის ახორციელებს მაშველი დაზარალებულის დაზიანებული არის ჩამობანას კანის ადგილობრივას საექვო მოწამვლის დროს;

• ნახშიროჟანგით მოწამვლა

- რა არის ნახშიროჟანგი,რა გამოყოფს მას;
- რატომ არის საშიში ძალადი კონცენტრაციით ნახშირორჟანგის მოხვედრა ადამიანის ორგანიზმში;
- რას იწვევს ნახშიროჟანგის დაბალი კონცენტრაცია ადამიანის ორგანიზმში;

- როგორი ინტენსივობისაა თავის ტკივილი ნახშირორჟანგის დაბალი კონცენტრაციით მოწამვლისას;
- როგორია დაზარალეულის სუნთვა ნახშირორჟანგის დაბალი კონცენტრაციით მოწამვლისას;
- ნახშირორჟანგით მცირე კონცენტრაციით მოწავმლა რომელ დაავადებების სიმპტომებს ჰგავს ძალიან (რამაც შეიძლება მაშველი შეიყვანოს შეცდომაში);
- რა შეუძლია გამოიწვიოს ნახშირორჟანგის ზომიერ კონცენტრაციით მოწამვლას;
- როგორია თავის ტკივილის ინტენსივობა ზომიერი კონცენტრაციით ნახშირორჟანგით მოწამვლის დროს;
- რა ნიშნები გამოიხატება ნახშირორჟანგით ზომიერი კონცენტრაციით მოწამვლის დროს;
- როგორია მაშველის ტაქტიკა ნახშირორჟანგით ზომიერი კონცენტრაციით მოწამვლის დროს;
- როგორ გაანიავეთ ოთახს ნახშირორჟანგით ზომიერი კონცენტრაციით მოწამვლის დროს;
- რატომ უნდა გამორთოთ საწვავზე მომუშავე ყველა მოწყობილობა ნახშირორჟანგით ზომიერი კონცენტრაციით მოწამვლის დროს;
- როდის მიმართავთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას;

პირველი დახმარება ცხოველების ნაკბენის დროს

- რა ხდება ადამიანის ორგანიზმში ცხოველის კბენის შედაგად;
- რა მდგომარეობაშია კანის მთლიანობა ცხოველის ნაკბენის შემთხვევაში;
- რატომ იქმნება ჭრილობიდან მიკრობების შეღწევის საშიშროება ცხოველების კბენის შემთხვევაში;
- რას საჭიროებს ნებისმიერი ნაკბენი, რომელსაც თან ახლავს კანის მთლიანობის დარღვევა;
- რატომ უნდა იყოს ცხოველი გამოკვლეული ცხოველის ნაკბენის შემთხვევაში;
- რა არის ცოფის ვირუსი;
- რატომ არის ცოფი საქართველოში მეტად აქტუალური;
- რატომ უნდა ჩაუტარდეს დაზარალებულს აუცილებლად ცოფის საწინააღმდეგო აცრა;
- როგორია პირველადი გადაუდებელი დახმარების ტაქტიკა ცხოველის ნაკბენის შემთხვევაში;
- რატომ უნდა ჩამოიბანოს დაზარალებულის ჭრილობა კარგად;
- რითი უნდა ჩამოიბანოს დაზარალებულის ჭრილობა;
- რამდენი წთ განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს ჭრილობის ჩამოიბანა საპნით და თბილი წყლით;
- რას აკეთებს მაშველი ჭრილობის ჩამოიბანის შემდეგ;
- როგორ შეაჩერებთ სიხლდენას ჭრილობიდან;
- რას ურჩევთ დაზარალებულს როდის მიმართოს ექიმს;

- **პირველი დახმარება მწერის ნაკბენის დროს**

- შემაწუხებელია თუ საშიში ფუტკრის, ბზიკის და სხვა მწერების ნაკბენი;
- რა მოსდევს ტკვილს ფუტკრის, ბზიკის და სხვა მწერების ნაკბენის დროს;
- როდის შეიძლება განვითარდეს ანაფილაქსიური შოკი;
- სხეულის რომელ ნაწილებშია ძალიან საშიში ნაკბენი ;
- რატომ არის ძალიან საშიში ნაკბენი პირში და ყელში;
- როგორია პირველადი გადაუდებელი დახმარების ტაქტიკა მწერის ნაკბენის შემთხვევაში;
- როგორ ამოიღებთ ნექტარს;
- რატომ უნდა დაადოთ დაზიანების ადგილზე ცივი კომპრესი;
- როგორ შეაცივრებთ დაზიანების ადგილზე ტკვილსა და შეშუპებას;
- რას ურჩევთ დაზარალებულს თუ ტკვილი და შეშუპება უგრძელდება ერთი ან ორი დღის განმავლობაში ;
- როგორ აწარმოებთ პირველად გადაუდებელ დახმარებას თუ ნაკბენი პირის ღრუში;
- რატომ უნდა მისცეთ დაზარალებულს ყინული მოსაწუწუნად;
- როდის ეძახის სასწრაფო გადაუდებელ სამსახურს;
- რა არის ტკიპა;
- სად ბინადრობს ტკიპა;
- სხეულის რომელ ნაწილზე მაგრდება ტკიპა და რატომ;
- რა ემართება დაზარალებულის კანს, საიდანაც ტკიპა წოვს სისხლს;
- რატომ არის ადვილად შესამჩნევი ადგილი ,საიდანაც ტკიპა სისხლს წოვს დაზარალებულს;
- რატომ შეუძლია ტკიპამ გამოიწვიოს ინფექცია ადამიანის ორგანიზმში;
- როგორია პირველადი გადაუდებელი დახმარების ტაქტიკა ტკიპის ნაკბენის შემთხვევაში ;
- რა უნდა წაუსვას მაშველმა დაზარალებულს ტკიპის კბენის ადგილზე;
- როგორ ამოპრობთ ტკიპას დაზარალებულის დაზიანების ადგილიდან;
- ტკიპის ამოპრობის შემდეგ რა უნდა განახორციელოთ დაზარალებულის დაზიანების ადგილზე;

- **პირველი დახმარება გველის ნაკბენის დროს**

- რა არის გველის ნაკბენის დამახასიათებელი ნიშნები და სიმპტომები;
- რატომ არის წყვილი ნაკბენი ერთ ერთი დამახასიათებელი ნიშანი;
- რა იწვევს შეშუპებას და ტკვილს დაზიანების მიდამოში;
- როგორია დაზარალებულის სუნთქვა გველის ნაკბენის შემთხვევაში;
- რამ შეიძლება გამოიწვიოს ოფლიანობა და ძლიერი ნერწყვდენა გველის ნაკბენის შემთხვევაში;
- როგორია პირველადი გადაუდებელი დახმარების ტაქტიკა გველის ნაკბენის შემთხვევაში;
- როგორი პოზიცია უნდა მისცეთ ნაკბენ კიდურს;
- როგორ უნდა ჩამოხანოთ და შეამშრალოდ ნაკბენი კიდური;

- როგორ უნდა მოახდინოთ ნაკბენის ზემოთ კიდურის კომპრესია;
- როდის გამოიძახებთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას;
- როდის და როგორ განახორციელებთ ცნობიერების და ABC კონტროლს;

რეკომენდაციები



© Can Stock Photo

სასურველია:

- ❖ თეორიული მასალა გადმოიცეს პრეზენტაციის მეშვეობით;
- ❖ ლექციის მსვლელობისას პედაგოგმა აჩვენოს ვიდეოები
- ❖ პირველადი დახმარება გულყრის დროს (წყარო: <https://www.youtube.com/watch?v=fG9obAfI8UM>)
- ❖ პირველადი გადაუდებელი დახმარება ცხოველის კბენისას (წყარო: <https://www.youtube.com/watch?v=suNiaxLEr2Y&list=PLWgKm7kgxzCu2hHXJhvroQJRALkyqGq9a>)
- ❖ პირველადი გადაუდებელი დახმარება სუნთქვს უკმარისობის დროს (წყარო: <https://www.youtube.com/watch?v=Yk2WOOqd2xY&list=PLWgKm7kgxzCu2hHXJhvroQJRALkyqGq9a&index=4>)
- ❖ პირველადი გადაუდებელი დახმარება მოხრჩობის (გადაცდომის)დროს (წყარო: <https://www.youtube.com/watch?v=jtdFkuJZyZo&index=5&list=PLWgKm7kgxzCu2hHXJhvroQJRALkyqGq9a>)
- ❖ პრეზენტაციის საწყის სლაიდზე ჩანდეს ამ ქვეთავის ნომერი და სათაური შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად;
- ❖ თითოეულ საკითხს დაეთმოს 1-3 სლაიდი;
- ❖ თითოეულ სლაიდზე ჩანდეს როგორც ტექსტი, ისე ტექსტის შესაბამისი ილუსტრაცია, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
- ❖ თითოეული საფეხურის ახლსნისას პედაგოგმა მულაჟზე აჩვენოს ქმედება
- ❖ ბოლო სლაიდს დაარქვათ „დამატებითი მასალა“, სადაც ჩაწერეთ ძირითადი დამატებითი საკითხავი ლიტერატურის დასახელება, ასევე ინტერნეტ წყაროები სადაც მოსწავლე შეძლებს უყუროს ვიდეოებს აღნიშნულ თემატიკაზე.

ლიტერატურა



პრეზენტაციის მომზადებისას სასურველია გამოიყენოთ სახემძღვანელოს „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ შემდეგი ნაწილი:
„პირველიდახმარებასხვადასხვაგადაუდებელიმდგომარეობებისდროს“

რესურსები



კომპიუტერი, პროექტორი, ჰენდაუთი
(სლაიდებისამობეჭდილივერსია).მულაჟები.სასურველია ვიდეორესურსისგამოყენება,
სადაცკარგადჩანსპირველიდახმარებასხვადასხვაგადაუდებელიმდგომარეობებისდრო



4.2 პრაქტიკული მეცადინეობა

პრაქტიკული მეცადინეობა ხელს უნდა უწყობდეს თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი მასალის განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიაში მსხდომმა ყველა სტუდენტმა გაიგო თეორიული მეცადინეობის დროს ახსნილი მასალა. ამ მიზნით, სასურველია პრაქტიკული მეცადინეობისთვის გამოყოფილი დრო განაწილდეს შემდეგ აქტივობებზე:

ა) პირველი **15-20** წუთი დაუთმეთ გონებრივ იერიშს, რათა გაარკვიოთ ხომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა თეორიული მასალიდან.

სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ მათთვის ცნობილი მაგალითები თეორიულ მასალასთან დაკავშირებით. გონებრივი იერიშისას შესაძლებელია გამოიყენოთ კითხვები

- ✓ რა არის სუნთქვის გაძნელება
- ✓ რომელი დაავადებებმა შეიძლება გამოიწვიოს სუნთქვის გაძნელება
- ✓ რა არის ჰიპოქსია
- ✓ რა კლინიკური ნიშნებით გამოიხატება ჰიპოქსია
- ✓ ჩამოაყალიბეთ მოხრჩობის უნივერსალური ნიშანი
- ✓ რა არის ჰეიმლიკის მანევრი
- ✓ ჩამოაყალიბეთ განსხვავება მოზრდილებში/ბავშვებში/ორსულებში და თავად დაზარალებული როდესაც მარტოა–ჰეიმლიკის მანევრის ჩატარების თავისებურებანი
- ✓ რა შეიძლება იყოს გულის წასვლის მიზეზი
- ✓ რა არის გულის წასვლის კლინიკური ნიშნები
- ✓ რა არის კოლაფსი
- ✓ რა კლინიკური ნიშნებით გამოიხატება კოლაფსი
- ✓ რა არის შოკი
- ✓ რამდენი ტიპის შოკი არსებობს
- ✓ ჩამოაყალიბეთ ელექტროტრავმის სახეები
- ✓ რა არის კრუნჩხვა

დემონსტრირების შემდეგ ავარჯიშეთ სტუდენტები შემდეგი უნარების გამომუშავებაში:

- აუხსენით და შემდეგ მანეკენზე აჩვენეთ „ჰეიმლიკის მანევრი“
- აჩვენეთ როგორ უნდა შეკრას ერთი ხელით მუშტი (ცერა თითის მხრიდან);
- აჩვენეთ ზუსტი ლოკალიზაცია სად ათავსებთ ხელს (ჭიპსა და მახვილისებრ მორჩს შორის);
- როგორ აფიქსირებთ მუშტიან ხელს მეორე ხელით;
- როგორ აწარმოებთ ბიძგებს მუცელზე;
- როგორ უნდა მოახდინოთ ნაკბენი კიდურის იმობილიზაცია;

;



4.3 დამოუკიდებელი სამუშაო

(განმარტება მასწავლებლისთვის: აღნიშნული დავალება სტუდენტს აძლევს ინფორმაციას ღრმად გაიაზროს :

- ✓ პირველადი გადაუდებელი დახმარება სუნთქვის (რესპირატორული) მოშლილობის დროს
- ✓ პირველადი გადაუდებელი დახმარება გულსისხლძარღვთა სისტემის დაზიანებით
- ✓ პირველადი გადაუდებელი დახმარება ელექტროტრავმის დროს
- ✓ პირველადი გადაუდებელი დახმარება კრუნჩხვის დროს
- ✓ პირველადი გადაუდებელი დახმარება დამწვრობის დროს
- ✓ პირველადი გადაუდებელი დახმარება ჰიპოთერმიის დროს
- ✓ პირველადი გადაუდებელი დახმარება ჰიპოთერმიის დროს
- ✓ პირველადი გადაუდებელი დახმარება მოწამვლის დროს
- ✓ პირველადი გადაუდებელი დახმარება სისხლდენის დროს
- ✓ პირველადი გადაუდებელი დახმარება ცხოველების, მწერებისა და გველის ნაკბენის დროს

მოსწავლეს ევალება დაამუშაოს სახელმძღვანელოს „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ პირველი თავი (გვ–6–33) რომლის შესაფასებლად მომდევნო მეცადინეობაზე ჩაუტარდება ტესტირება .



4.4 განმსაზღვრელი შეფასება

სტუდენტის სახელი, გვარი-----

სწავლის შედეგი- მე--1 (მე-2 კრიტერიუმი) პირველადი დახმარების აღმოჩენის საჭიროებები:

შეფასების მიმართულება- გამოკითხვა

შეფასების ინსტრუმენტი- კომბინირებული ტესტი, რომელიც შესდგება ტესტისგან- კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით ტესტისგან- კითხვები ღია დაბოლოებით-

(მოწოდებული ინსტრუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს სხვა ინსტრუმენტი)

ინსტრუმენტის შეფასების სქემა

მოცემული ტესტების მიზანია თქვენი ცოდნის შეფასება მესამე შედეგის მე-2 კრიტერიუმთან მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებს პირველადი დახმარების აღმოჩენის საჭიროებებს დავალება უნდა შესრულდეს სასწავლებლის A გარემოში, სწორად და თანმიმდევრულად 1,5 საათის განმავლობაში.

შედეგის დასადასტურებლად საჭიროა ყველა დავალების სწორად შესრულება.

ტესტების ინსტრუქცია:

ტესტი-კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით- შეიცავს ერთ სწორ პასუხს. კარგად წაიკითხეთ თითოეული კითხვა და შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ტესტი - კითხვები ღია დაბოლოებით- დაფიქრდით და ჩამოაყალიბეთ პასუხი.

1. თანამშრომლებთან ერთად სადილობისას, ერთ ერთ თანამშრომელს გადასცდა საკვები, ის ახველებს, ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ცდილობს რომ გაგაგებინოთ რომ ცუდადა, როგორია თქვენი ქმედება
 - A. ეცდებით თითოეული ამოუღოთ პირიდან საკვები რომელიც გადაცდა;
 - B. გაუკეთებთ „ჰეიმლიკის“ მენევრს;
 - C. მიაწოდებთ წყალს;

სწორი პასუხია B

2. რა მანევრი გამოიყენება მოზრდილებში და 1 წლის ასაკის ბავშვებში ობსტრუქციის მოსახსნელად?
3. ჰეიმლიკის მანევრის ჩატარებისას , რა არის თითოეული ბიძგის ჩატარების მიზანი ?
4. სად ათავსებთ თქვენს ხელს (არაორსული) დაზარალებულის სხეულზე ჰეიმლიკის მანევრის ჩატარებისას
 - A. ჭიპსა და მკერდს შორის;
 - B. მკერდსა და ელენთას შორის;
 - C. მკერდის ძვაზე;
 - D. ჭიპსა და მახვილისებრ მორჩს შორის;

სწორი პასუხია D

5. სად ათავსებთ თქვენს ხელს , ჰეიმლიკის მანევრის ჩატარებისას ,თუ დაზარალებული ორსულია :
 - A. ჭიპსა და მკერდს შორის;
 - B. მკერდსა და ელენთას შორის;
 - C. მკერდის ძვაზე;
 - D. ჭიპსა და მახვილისებრ მორჩს შორის;

სწორი პასუხია C

6. ჰეიმლიკის მანევრის ჩატარებისას, სად ათავსებთ თქვენს ხელს , თუ დაზარალებული არის ბავშვი (1 წლის ზემოთ):
 - A. ჭიპსა და მკერდს შორის;
 - B. ზურგზე;
 - C. მკერდის ძვაზე;
 - D. ჭიპსა და მახვილისებრ მორჩს შორის;

სწორი პასუხია B

7. შეიძლება თუ არა კვამლის და გამონბოლქვი აირების ინჰალაცია გახდეს სუნთქვის უკმარისობის მიზეზი:
 - A. დიახ;
 - B. არა;

სწორი პასუხია A

8. წყალში დახრჩობის დროს, სიკვდილის მიზეზი ყოველთვის არის სასუნთქი გზების წყლით დახშობა:
 - A. სწორია;
 - B. არასწორია;

სწორი პასუხია B

9. შეამჩნიეთ რომ თქვენს კოლეგას დაეწყო სუნთქვის გაძნელება, გულთან მიიტანა ხელი , და ამბობს რომ სტკივა, ეჭვობთ რომ მას გულის შეტევა ეწყება, როგორია თქვენი ქმედება
 - A. დააწვეთ პაციენტს იატაკზე;

- B. გაამხნევებთ და ურჩევთ რომ იაროს ,არ დაჯდეს;
- C. დასვამთ მისთვის კომფორტულ და მოსვენებულ პოზიციაში;

სწორი პასუხია C

10. რა არის გულის წასვლა და როგორ გამოიხატება ის?
11. თქვენ ხართ მეგობართან, ერთად ამზადებთ სადილს. მან მოულოდნელად ხელი დანით გაიჭრა, როგორია თქვენი ქმედება:
- A. დაზიანებულ თითს მოაქცევინებთ გამდინარე წყლის ქვეშ, სისხლის ჩამოხანის მიზნით;
 - B. განახორციელებთ პირდაპირ ზეწოლად ჭრილობაზე;
 - C. მისცემთ მას ასპირინს;

სწორი პასუხია B

12. გულის წასვლის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს:
- A. ტკივილი და შიში;
 - B. ემოციური გადაძაბვა, შიმშილი და გადაღლა;
 - C. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი;

სწორი პასუხია : C

13. რამ შეიძლება გამოიწვიოს კრუნჩხვა:
- A. გულში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლამ;
 - B. თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლამ;
 - C. თირკმელებში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლამ;

სწორი პასუხია B

14. დამწვრობა, რომელიც შეიძლება განვითარდეს ცხელი საგნების ან ორთქლის ზემოქმედების შედეგად , არის:
- A. თერმული დამწვრობა;
 - B. ქიმიური დამწვრობა;
 - C. ელექტრული დამწვრობა;

სწორი პასუხია A

15. ჰიპერთერმია არის:
- A. სხეულის ტემპერატურის შემცირება;
 - B. სხეულის ტემპერატურის მომატება;
 - C. გულის მუშაობის შემცირება;

სწორი პასუხია B

16. რა არის ჰიპოთერმია და როდის შეიძლება განვითარდეს ის?

17. სისხლძარღვები, რომელთა საშუალებით სისხლი ბრუნდება გულში არის:

- A. არტერიები;
- B. ვენები ;
- C. კაპილარები;

სწორი პასუხია B

18. რა არის კოლაფსი?

19. განმარტეთ რა არის შოკი, და ჩამოაყალიბეთ შოკის ტიპები;

20. რა მნიშვნელობა აქვს შოკის დროს დროულად აღმოჩენილ პირველად დახმარებას?

21. როდის ვითარდება ჰიპოვოლემიური შოკი:

- A. სისხლის ან მოცირკულირე სითხის მოცულობის მკვეთრი დაქვეითების გამო (მაგ. სისხლდენის, ფაღარათის, პირღებინებისა და ა შ);
- B. ალერგიული რეაქციის შედეგად; შესაძლებელია მოხდეს სასუნთქი გზების შემუპება და სწრაფად დადგეს სიკვდილი;
- C. ვითარდება მძიმე ბაქტერიული ინფექციების დროს სეპტიური პროცესების გართულებისას;
- D. ვითარდება გულის, როგორც ტუმბოს, უკიდურესად მძიმე დაზიანებისას;

სწორი პასუხია A

22. როდის ვითარდება ანაფილაქსიური შოკი:

- A. სისხლის ან მოცირკულირე სითხის მოცულობის მკვეთრი დაქვეითებისას (მაგ. სისხლდენის, ფაღარათის, პირღებინებისა და ა შ);
- B. ალერგიული რეაქციის შედეგად;
- C. მძიმე ბაქტერიული ინფექციების დროს;
- D. ვითარდება გულის, როგორც ტუმბოს, უკიდურესად მძიმე დაზიანებისას;

სწორი პასუხია B

23. შოკის განვითარებასთან ერთად აღინიშნება:

- A. საერთო სისუსტე და ძილიანობა;
- B. გულისრევა და ღებინება;
- C. წყურვილის შეგრძნება;
- D. ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხია D

24. რა არის ელექტროტრავმა და რა ტიპის არსებობს ის?

25. დაბალი ვოლტაჟის დენით განპირობებული ელექტროტრავმა შეიძლება გახდეს სერიოზული დაზიანების და სიკვდილის მიზეზიც კი.
- A. სწორია;
 - B. არასწორია;

სწორი პასუხია A

26. როგორია პირველადი გადაუდებელი დახმარების ტაქტიკა ცხოველის ნაკბენის შემთხვევაში?
27. რატომ უნდა გაუკეთდეს დაზარალებულს, ცხოველის (ძაღლის,კატის,ვირთხის და სხვა) კბენისას, აუცილებლად ცოფის საწინააღმდეგო აცრა?
28. რატომ უნდა იყოს ცხოველი გამოკვლეული ცხოველის ნაკბენის შემთხვევაში;
29. სხეულის რომელ ნაწილებშია ძალიან საშიში მწერების(ფუტკრის,ბზიკის) ნაკბენი:
- A. თავისა და სახის არეში(ტუჩზე, ენაზე, თვალთან);
 - B. ზედა კიდურზე;
 - C. ქვედა კიდურზე;
 - D. ყველა პასუხი სწორია;

სწორი პასუხია A

30. აღწერეთ პირველადი გადაუდებელი დახმარება საშიში მწერების(ფუტკრის,ბზიკის) ნაკბენის დროს;
31. რას იწვევს ტკიპის კბენი:
- A. კანზე ალერგიულ გამონაყარს;
 - B. ვირუსულ ენცეფალიტს(ტვინის გარსების ანთებას);
 - C. ნაკბენი ადგილის დაჩირქებას;
 - D. არცერთი პასუხი არ არის სწორი;

სწორი პასუხია B

32. როგორ ამოაძრობთ ტკიპას დაზარალებულის დაზიანების ადგილიდან:
- A. პირდაპირ ამოაძრობთ მიმაგრებული ადგილიდან;
 - B. გაჭლეთ ამოზრობის გარეშე;
 - C. დააწვეთებთ ზეთს ტკიპას და პინცეტით ამოიღებთ;
 - D. დააწვეთებთ სპირტს და მოაძრობთ;

სწორი პასუხია C

33. აღწერეთ გველის ნაკბენის დამახასიათებელი ნიშნები ;
34. როგორია პირველადი გადაუდებელი დახმარების ტაქტიკა გველის ნაკბენის შემთხვევაში;

35. გავრცელებული მიდგომა ,რომ გველის შხამი უნდა იქნას გამოწოვილი ჭრილობიდან პირით ,დაზარალებულის ან მაშველის მიერ:

- A. სწორია;
- B. არასწორია;
- C. სასტიკად აკრძალულია;
- D. არ არის მისაღები;

სწორი პასუხია C

შედეგი N3	შედეგი დადასტურდა	შედეგი ვერ დადასტურდა
სტუდენტის ხელმოწერა:		
შემფასებლის/დამკვირვებლის ხელმოწერა:		

თანდართული თვალსაჩინოება:

მასწავლებლის გზამკვლევს ცალკე ფაილების სახით თანდართული აქვს პრეზენტაციები და პოსტერი.

პრეზენტაციები:

- 1.პირველადი გადაუდებელი დახმარება;
- 2.პირველადი გადაუდებელი დახმარება დამწვრობისას;
- 3.პირველადი გადაუდებელი დახმარება მწერების და გველის ნაკბენის დროს;
- 4.პირველადი გადაუდებელი დახმარება ბავშვებში 1-8 წლამდე;
- 5.პირველადი გადაუდებელი დახმარება წყალში დახრჩობისას;
- 6.პირველადი გადაუდებელი დახმარება სისხლდენის დროს ;
- 7..პირველადი გადაუდებელი დახმარება ტრავმების დროს;
- 8.პოსტერი-ყველაზე ხშირი შეცდომები პირველადი გადაუდებელი დახმარებისას;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი „ პირველადი გადაუდებელი დახმარება“-თბილისი ,2015 წ
2. TEACHER’S GUIDE Management of wastes from health-care activities-A. Prüss, W. K. Townend, World Health Organization Geneva,2005
3. მასწავლებლის გზამკვლევის ნიმუში - ევროკავშირი - ტანსაცმლის დეტალების კონსტრუქციული ნახაზის მიხედვით თარგის აგება-2012 წ.
- 4.American Red Cross First Aid/CPR/AED Instructor’s Manual-2014 წ.

დამატებითი ლიტერატურა სტუდენტთათვის:

1. Первая доврачебная помощь - Величенко В.М. – Учебник-2001
2. Первая доврачебная помощь-Рогова Н.В.-2002

